# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 1 აპრილი, 2014 წელი.

№65-66 (7447)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


**⊙ დეპეშა-წერილი უკრაინიდან**

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს




ბატონო გიორგი,

თქვენმა გაბედულმა, მართლაც ყველასაგან და, პირველ რიგში, თვით ივანიშვილისგან დამოუკიდებლად გადადგმულმა ნაბიჯმა — თქვენს აშკარად უკანონო შევიწროებაზე ამოგეღოთ ხმა და ეს თუნდაც იმით გამოგეხატათ, რომ საკუთარი გადაწყვეტილებით სამუშაოდ გადასულიყავით პრეზიდენტის რეზიდენციაში, მეც საბოლოოდ გადამაწყვეტინა ჩემი ამ ნაბიჯის გადადგმა.

ჩემი ეს ნაბიჯი კი შემდეგში მდგომარეობს. ბევრი ფიქრისა და, პირველ რიგში, ჩემიანების — დედაჩემ გიული ალასანიას, მეუღლე სანდრა რულოვსის, მზია ბებიას და ბიძაჩემ თემურ ალასანიას რჩევით მივედი იმ აზრამდე, რომ უარი მეთქვა ჩემს ადრინდელ გადაწყვეტილებაზე და, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, აუცილებლად ჩამოვსულიყავი საქართველოში, რათა ხმამაღლა, მსოფლიო საზოგადოების გასაგონად დავამტკიცო, თუ რაოდენ ცილისმწამებლურია ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება პირადად როგორც ჩემ, ისე საერთოდ ნაციონალების მიმართ.

მე ჩვენს უდანაშაულობაზე არ მაქვს ლაპარაკი. ეს წყალგაუვალი ფაქტია, რასაც ისტორიაც დაადასტურებს. მე შევეცდები, როგორც მოწმემ, კიდევ ერთხელ ყველას დავანახვო, თუ რა გაუგონარ სოციალურ სიმაღლეზე აიყვანა საქართველო ჩვენმა თითქმის ათწლიანმა დაუღალავმა შრომამ. ამას დღეს ყველა ხედავს და, უწინარესად, თვითონ ქართველი ხალხი, რომელმაც ჩვენი წყალობით გემო გაუგო, თუ რას ნიშნავს შემდგარი სახელმწიფო.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ, დიდად სამწუხაროდ, საზღვარი არა აქვს „ქართული ოცნების“ უმადურობას და პოლიტიკურ შანტაჟს — რაც ამ ათი წლის მანძილზე კარგი გაგვიკეთებია, ყველაფერი წყალს გაატანონ და, „კარგი რატომ აგიგიას“ პრინციპით, დამნაშავედაც კი გამოგვიყვანა. მაგრამ ეს ნამდვილად არ გამოუვათ, რადგან ამქვეყნად უკვე აღარ ბნელა.

თქვენ, როგორც ჩანს, უკვე მიხვდით, ვისთანაც გაქვთ საქმე და უთუოდ იმასაც მიხვედრილი იქნებით, რაც ამჟამად ხდება ჩემს წინააღმდეგ.

ამიტომ ჩემი კატეგორიული თხოვნაა (იქნებ მოთხოვნაც), რომ პირადად დაესწროთ ჩემს დაკითხვას ივანიშვილის პროკურატურაში, სადაც ამ დღეებში აუცილებლად ვაპირებ მისვლას არა მარტო როგორც მოწმე, არამედ როგორც ბრალმდებელიც, რომელსაც გაღმა შედავების ახლა უკვე ძალიან მოძველებული პრინციპით მედავებიან.

მეც და ჩემი თანამოაზრენიც აშკარად ვხედავთ, საით მიჰყავს ჩვენი, როგორც იტყვიან, წვითა და დაგვით აშენებული ქვეყანა კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ჩვენ ამას არ დავუშვებთ. კიევის მაიდანი მოგონილი იქნება. დღეს უკვე აშკარაა, რომ ქართველ ხალხს საკეთილოდ აეხილა თვალი.

ჩამოსვლის თარიღს დამატებით შეგატყობინებთ.

მოწმეც და ბრალმდებელიც
**მიხეილ სააკაშვილი**
კიევი, 31 მარტი.

**P. S. რედაქცია გულწრფელ მადლობას უხდის ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს ამ დეპეშა-წერილის ექსკლუზიურად ჩვენი რედაქციისათვის გადმოცემის გამო.**

## მიშას არმია ბრძოლის ველზეა! ③

## მასალები მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა ⑥

## დაბალ-ზამებული ბელადის ცხოვრება ⑨






## რუსეთმა უკრაინაში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგებსაც, ალბათ, სახელმძღვანელოებში შეიტანენ ④

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პატივგება

## პატრიარქმა ზვიად გამსახურდიას საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მთაწმინდაზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრები, მისი მეუღლე და შვილები ესწრებოდნენ.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრები დალოცა. პანაშვიდის დასრულების შემდეგ პატრიარქმა საფლავზე მიტანილი პური, ღვინო და პროდუქტები აკურთხა, პური გატეხა და შენდობა თქვა.

## განუზომლად დიდია ზვიად გამსახურდიას როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი ყოველთვის უკავშირდება ეროვნულ იდეას, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზვიად გამსახურდიას საფლავთან განაცხადა.**

მისი თქმით, ზვიად გამსახურდიას სახელი დაკავშირებულია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან.

— განუზომლად დიდია ზვიად გამსახურდიას დამსახურება და როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. სწორედ ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება რეფერენდუმის ჩატარება, როდესაც ყველამ მისცა ხმა, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების თანამონაწილეობით, დამოუკიდებლობის აღდგენას. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების ვალია, ყოველთვის გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას სახელი და პატივი მივაგოთ მის ხსოვნას, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



გუშინ პარლამენტის შენობაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 75 წლის იუბილისა და 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული პირველი რეფერენდუმისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

# გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა



**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75 წლისთავს და სამშობლოს უკეთესი მერმისისთვის თავშეწირული ამ მამულიშვილის პატივგებას მიეძღვნა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საგანგებო სხდომა, რომელიც ამ აკადემიის პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ გახსნა.**

...თითქოს თავის თავზე ეთქვას ზვიად გამსახურდიას, ამ ჭეშმარიტად ეროვნულ გმირს, სიტყვები, რომელთა ნაწილი სათაურად გამოვიტანე, ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისაო.

ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მართლაც ლამის ჯვარს აცვეს და აწამეს იგი სამშობლოს ერთგულება-სიყვარულისთვის. არადა, ოდნავ მაინც რომ ყოფილიყო კონფორმისტი და ერთი ფრთიანი ხალხური ფრაზის გმირივით მხოლოდ საკუთარ ჯამში მომზირალი, მას, დიდი მამის შვილსა და მრავალმხრივი განათლების მქონე ინტელექტუალს, ანალიტიკური ჭკუა-გონების პატრონსა და ქარიზმული ლიდერის თვისებებით დაჯილდოებულს, ყველა გზა ხსნილი ექნებოდა შეუფერხებელი კარიერული წინსვლისა და კეთილდღეობისა.

მაგრამ მან კონფორმისტულ დაფნის გვირგვინს მამულის ერთგული მსახურის მოწამეობრივი ეკლის გვირგვინი არჩია.

სხვაგვარად არც ძალუძდა, რადგან საქართველოს უკეთესი მერმისისთვის შეურიგებელი ბრძოლა იყო მისი ცხოვრების მიზანი.

სწორედ ამაზე, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მის დიდ დამსახურებაზე, შეუდრეკელობასა თუ პიროვნულ სიმამაცეზე, საქართველოს უახლოეს ისტორიაში მის როლსა და მნიშვნელობაზე საინტერესოდ, დამაჯერებლად და ამომწურავად ისაუბრეს ფაზისის აკადემიის ნამდვილმა წევრებმა, პროფესორმა იგორ კვესელავამ, ზვიად გამსახურდიას ვაჟმა კონსტანტინე გამსახურდიამ, პროფესორმა რეზო მიშველაძემ, პროფესორმა ნოდარ ჭითანავამ, ბაკურ გულუამ, მწერალმა სოსო სიგუამ, პოეტმა ვაჟა ეგრისელმა და სხვებმა.

ამ საინტერესო გამოსვლებით მსმენელთა თვალწინ თითქოს კინოკადრებივით გაირბინა დიდი მამულიშვილის ცხოვრების უმნიშვნელოვანესმა მომენტებმა.

ყველანი ერთსულოვნად დაეთანხმნენ პროფესორ იგორ კვესელავას დასკვნას, რომ ზვიად გამსახურდიაზე წლების კი არა, საუკუნეების განმავლობაში არ შეწყდება ლაპარაკი, რომ იგი, როგორც ბატონმა ნოდარ ჭითანავამ აღნიშნა, მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის და თავის როლითა და მნიშვნელობით გასცდა რეგიონულ საზღვრებს.

ყველაზე ერთსულოვანი მხარდაჭერა და ოვაცია კი მაინც აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას სიტყვებმა გამოიწვია: **ზვიად გამსახურდია მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით იმსახურებს იმას, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა იგი წმინდანად შერაცხოს!**

**ეს მართლაც ყველაზე ღირსეული დაფასება და ჭეშმარიტი აღდგომა იქნებოდა ამ ერისთვის ტანჯული შვილისა!**

**რუსლან რუსია**

## ზვიად გამსახურდიას შვილები მამის გარდაცვალების საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვენ

**ამის შესახებ მათ განცხადება მედიის წინაშე გუშინ მთაწმინდაზე, ზვიად გამსახურდიას საფლავთან გააკეთეს.**

**კონსტანტინე, გიორგი და ცოტნე გამსახურდიებმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს ტექსტს და აღნიშნეს, ისინი მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილსა და მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს, გაგრძელდეს 2004 წელს დაწყებული გამოძიება.**

კონსტანტინე გამსახურდიამ აღნიშნა, რომ გამოძიებას რეალურად არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ განუხორციელებია.

ამასთან, როგორც ცოტნე გამსახურდიამ აღნიშნა, 2011 წელს შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოკლულია.

მისივე თქმით, ამ კომუნიკეს მიღებით ზვიად გამსახურდიას შვილები უბრალოდ მშობლის წინაშე ვალს კი არ იხდიან, არამედ ეს არის საზოგადოებრივი ინტერესი, ვინაიდან ამ საქმის გამოუძიებლობა ქვეყნის სირცხვილია. გიორგი გამსახურდიამ კი, თავის მხრივ, დასძინა, რომ ამ გამოძიების ჩატარებით ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება ეჭვები და კითხვებს პასუხები გაეცემა.

ძალა ცუდი მაგალითისა

# განა მარტო შიდსია გადამდები, გნაცებო!

**ამთავითვე ვიტყვი — ყოველგვარი ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ვარ და ვიქნები! თუნდაც უსისხლო იყოს იგი და თუნდაც ნუგზარ წიკლაურს ან გნაცმოძრაობის ელიტის ნებისმიერ სხვა წარმომადგენელს შეეხებოდეს.**

ამიტომ, როცა ტელევიზიით სახედალილავებული ბოცო გვანახვეს, ბევრის მსგავსად, — მარჯვენაც შერჩეს შენს ასე გამლამაზებელსო, — კი არ წამომიძახია, არამედ გავბრაზდი კიდეც.

გავბრაზდი, უწინარესად, ხელისუფლებაზე, რომელიც ხშირად ერთობ უნიათოდ ირჯება და თავის გასაკეთებელს შუალამობით სხვის სახლაფორთოდ ხდის.

გავბრაზდი, არანაკლებ უწინარესად, ოპოზიციად ჩამოლაბორანტებული ყოფილი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზეც, მომხდარით აღშფოთებულებმა, პირგამეხებული დავით ბაქრაძის თავკაცობით, ნაციონალური მოძრაობის ოფისში საპროტესტო განცხადება რომ გააკეთეს და მომხდარის უოპერატიულესი გამოძიება მოითხოვეს.

რატომ გავბრაზდი?

**რატომ და, განა მარტო შიდსია გადამდები, გნაცმოძრაობელნო!**

**ცუდი მაგალითიც არანაკლებ ი „ზარაზაა“. თუნდაც ის ცუდი მაგალითი, რომელიც თქვენი ზეობისას დეპუტატ ვალერი გელაშვილის დღისით-მზისით დაუნდობელი ცემით ლამის მისიკვდილებამდე მიყვანით მიეცით ხალხს!**

ახლა რომ ითხოვთ ბოცო წიკლაურის ცემის ფაქტის უსწრაფესად გამოძიებას (ამაში დასაძრახი და მიუღებელი არაფერია), ერთხელ მაინც თუ მოგითხოვიათ ანალოგიური რამ გელაშვილის გვემასთან დაკავშირებით?

კარგად არის ნათქვამი: **სხვებსაც ისე მოექეცი, როგორც შენ გინდა, მოგექცნენო.**

ერთიც: ცუდი მაგალითი მარტო გადამდები კი არ არის, მას ერთგვარად ბუმერანგის თვისებაც აქვს — ერთხელაც იქნება, თავისით თუ მავანი თქვენით „დასნებოვნებულის“ ნებით, მოგიტრიალდება და ისე მოგინგრევს თავყბას, ნუგზარ წიკლაურის დალილავებული სახე მიქარვა იქნება.



**და კიდევ, შეტევა კი გახლავს საუკეთესო თავდაცვა, გნაცელნო, მაგრამ ერთთავად შეტევისთვის მზადმყოფნო და გაღმით შედავებით გამოღმით სარგებლის მიღების მოსურნენო, იქნებ გულწრფელ მონანიებაზე უფრო მეტად გეფიქრათ, რაც თქვენგან განაწამები ხალხის გულს ოდნავ მაინც მოგაგებინებდათ?**

**სხვაგვარად, ვაითუ გაგრძელდეს ეს „ღამის სერენადები“?!**

**რუსლან რუსია**

სარედაქციო ფოსტიდან

## რა გემღერება, რჩეულიშვილო ვახტანგ, შენ ჩვენი ცოდვით უნდა იწვოდე...



**ამ ბოლო დროს ტელევიზორის ეკრანზე რამდენჯერმე მოვკარი თვალი ათასობით თბილისელის დამღუპველსა და გადამგდებს, ერთ დროს ვაისოციალისტ რჩეულიშვილ ვახტანგს, რომელიც რომელიღაც (მგონი, ორი ვარსკვლავი ჰქვია) სიმღერის კონკურსში იღებს მონაწილეობას და ნახევრად შიშველ ნინა წკრიალაშვილთან ერთად უნამუსოდ იწონებს თავს.**

**ეს აშკარად იმ ათასობით თბილისელი მოქალაქის მასხრად აგდებაა, ვისაც ამ უსირცხვილო კაცმა თავის პარტნიორ მეუღლესთან და ნაციონალ ცოლისდასთან ერთად, მილიონები შეუჭამა და უბინაოდ დატოვა.**

**ეს კი დამდგარა, მოუღერებია ყელი და ახლა სიმღერით გვეუბნება, სატირლად თქვენ გაქვთ საქმე, მე სამღერლად მაქვსო, და ჩვენდა გულის გასახეთქად იჭაჭება...**

**ისე, ნეტავი როდემდე უნდა ვისმინოთ ამ აშკარად თაღლითი კაცისგან „სიმღერა ცენტრ პოინტზე“, რომელი „ცენტრ პოინტისგანაც“ ფულშეჭმულები და უბინაოები დავრჩით, სამართალი კი დღემდე ვერ გვიპოვია?**

**თენგიზ ახვლედიანი,**
**მანანა სარჯველაძე,**
**მალხაზ კაკაურიძე,**
**რჩეულიშვილ-კერვალიშვილთაგან დაზარალებულნი**

## კავთისხევი — ნაგვისხევი?!

**ნეტავი ფეხი გამხმობოდა და ძეგვის გავლით მოკლეზე არ წამეყვანა ჩემი გერმანელი სტუმარი გორში.**

**თვითონ ძეგვს, სასხორსა და ნიჩბისს კიდევ არა უშავს რა, მაგრამ როგორც კი სოფელ კავთისხევს მივუახლოვდით, ნამდვილად ნაგვის გვირაბში მოგვიხდა გავლა თვით სოფელ ახალქალაქამდე.**

**გზის ორსავე მხარეს მხოლოდ „ნაგვის პეიზაჟის“ ხილვა მოუწია ჩემს გერმანელ სტუმარს, რომელიც გაოცებული მეკითხებოდა, ნუთუ ეს საშინელი სურათი ან რაიონის ხელმძღვანელობას არ ეჩოთირება ანდა იმ ადამიანებს, ვინც აქ ეკოლოგიური სისუფთავის დაცვაზეა პასუხისმგებელიო.**

**სამწუხაროდ, ვერაფერი ვუპასუხე ჩემს სტუმარს. ვერც თავი ვიმართლე, ან როგორ უნდა მემართლებინა?**

**იქნებ თქვენს გაზეთს მაინც უპასუხოს ვინმე ამ საქმის პასუხისმგებელმა პირმა, რატომ არის მთელი ეს გზა ერთ დიდ სანაგვედ გადაქცეული. ნუთუ თვითონ ამ სოფლების მცხოვრებთაც არ ესმით, რომ სოფლის გარეთ გატანილი ნაგავი ისევ სოფლებშივე შეაქვს ამჟამინდელ ქარიან ამინდს?**

**ნამდვილად სირცხვილია! ალბათ, ასეთი ამბის გამოა თქმული, ნაგავს ნაგავში ყოფნა არ აწუხებსო...**

**გაბრიელ ვარდიაშვილი,**
**უცხოელ სტუმართან შერცხვენილი მხატვარი.**

№65-66. სამშაბათი, 1 აპრილი, 2014 წელი.







# მიშას არმია ბრძოლის ველზეა!

**ყველანი აქ არიან: ნაცები და ქოცები, პრორუსები და ანტირუსები, მიშისტები და ანტიმიშისტები, ზონელები და კომუნისტები, ნაცისტები და გლობალისტები, თაღლითები და პოლიტიკოსები, პედერასტები და იმპოტენტები, ირმები (ნადირაშვილი და ინაშვილი) და მაჭავარიანები (მიშა და ვანო),...**

ბატონი და ქალბატონი ნაცპარტიელების მრისხანე მუქარა, „მი ვამ პაკაჟემ, გდე რაკი ზიმუიუტ“, სულაც არ ყოფილა მორიგი ტყუილი - როგორც ჩანს, საქართველოსა და ქართველი ხალხის გადარჩენისათვის სააკაშვილისეული ბრძოლის ახალი ეტაპი მართლაც იწყება. გასულ კვირაში ნაცმოძრაობის საგრძნობლად შეთხელებული და ინტელექტუალურად გაღლეტილი, მაგრამ პოლიტიკური ამბიციებით აღსავსე არმია უკვე ბრძოლის ველზე გამოვიდა და სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება სცადა. ისიც უნდა ითქვას, რომ მიშას არმია სულაც არ ტოვებს მატერიალურად გაღლეტილი და პოლიტიკურად უიარაღო ბრბოს შთაბეჭდილებას.

რამდენიმეთვიანი სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ უკრაინის ხელისუფლების სათავეში რადიკალური ოპოზიციის მისვლამ, რუსეთის „უკრაინული პოლიტიკით“ დასავლეთის „უკიდურესმა აღშფოთებამ“ და, რაც მთავარია, ახალ უკრაინულ (მაიდნურ) რევოლუციაში ქართველი ვარდოსნების მონაწილეობამ, როგორც ჩანს, ნაცმოძრაობას საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნების იმედი გაუათკეცა. რატომაც არა, თუ გივიმ და მისმა ბიჭებმა უკრაინაში პრეზიდენტ იანუკოვიჩის ჩამოგდება შეძლეს, საქართველოში წინ რა დაუდგებათ! საცაა, სააკაშვილი გლობალური პოლიტიკის პრობლემებს გადაწყვეტს, თბილისში დაბრუნდება და როგორც მორწმუნე მიშისტები გვპირდებიან, საქართველო ძველი ბელადის ახალი დროშით კვლავ გააგრძელებს ძლევამოსილ სვლას მშობლიური ევროპისაკენ.

გულდასაწყვეტი ის არის, რომ იმ „მშობლიურ წიაღში“ ანუ ევროპაში, თურმე მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არავინ გველის. გასულ კვირაში თვით ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, ჯერჯერობით ნატოს გაფართოება არ იგეგმება და თქვენს თავს მიხედეთ, რუსეთთან საერთო ენა გამონახეთო.

რუსეთისა რა გითხრათ, როცა ჩვენ ჯერჯერობით ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას ვერ ვახერხებთ. გასულ კვირაში თბილისის კინოს სახლში შეკრებილ ევრაზიული არჩევანის მომხრე პუბლიკას ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტი ორგანიზაციების წარმომადგენლები ისე დაუპირისპირდნენ, არგუმენტებით არც დაინტერესებულან. რამდენიმე დღეში ზუსტად იგივე სცენარი გათამაშდა მთავარ პროკურატურასთან, სადაც ერთმანეთს ექსპრეზიდენტის დაკითხვის მომხრე და მოწინააღმდეგე ძალები დაეტაკნენ. ორივე შემთხვევაში აუცილებელი გახდა პოლიციის ჩარევა.

მოკლედ, გასულ კვირაში მიშა სააკაშვილის ფანატებმა წითელგულებიანი დროშები გაშალეს - მოვდივართ და დაგვიხვდითო. მოწინააღმდეგეებიც, მიშას ციხეში გასტუმრების მოწადინენი, მედგრად დაუხვდნენ — თქვენს კუბოზე დიდ ლურსმანს დავაჭედებთო (ჟურნალისტ ირმა ინაშვილის დაპირება). ძალიან საინტერესო ვითარებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წარმოდგენა უკვე დიდი ხნის წინათ გვაქვს ნანახი, თანაც, არაერთხელ.

## ისევ მაპზე, ობამაზე, თინაზე და ნინო ბურჯანაძეზე

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ობამას განცხადებას, ნატოსკენ მიმავალ უკრაინას და საქართველოს წინ ჯერ კიდევ გრძელი გზა უძევთო. ვინაიდან ამერიკის პრეზიდენტის გამონათქვამებზე საქართველოში ჯერჯერობით არავინ ამბობს, ვინ ჰკითხავს ობამასო, ამიტომ ნაცებმაც და ქოცებმაც გასულ კვირაში (როგორც ყოველთვის) ბარაკ ობამას სიტყვის სათავისოდ „გადმოთარგმნა“ სცადეს.

სახელისუფლებო ვერსიით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ის კი არ უთქვამს, რაც თქვა, არამედ თქვა ის, რაც არ უთქვამს, ანუ საქართველო სულ მალე მიიღებს სამოქმედო გეგმას (მაპს) და ნანატრი ევროპის კარსაც შეაღებს (თუ რამე ვერ გაიგეთ, მე ნუ დამაბრალებთ — **მ.დ.**). პარლამენტარ თინა ხიდაშელის ინტერპრეტაციითაც, პრეზიდენტ ობამას ნათქვამი არ ნიშნავს, რომ საქართველო ნატოში ვერ შევა, ჩვენ კი ნინო ბურჯანაძის ჭკუაზე უნდა ვიაროთ და ოკუპანტ რუსეთს ჩავეხუტოთ. ერთი შეხედვით, ამ კონტექსტში ბურჯანაძის მოხსენიება ცოტა უცნაურად გამოიყურება, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მისეულ ვერსიას, ანუ ამ ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებათა დაწყების აუცილებლობას თუ გავიხსენებთ, ყველაფერი ნათელი გახდება. მერე რა, რომ ბურჯანაძე და ბევრი სხვაც ჩახუტებაზე კი არა, დიალოგის დაწყებაზე ლაპარაკობენ — დიდი პოლიტიკა ხომ ძალიან ხშირად წვრილმან ვნებებს და შიდა დაპირისპირებებს ეწირება.

ნაცმოძრაობის იდეოლოგთა ერთსულოვანი აზრით, ობამას პირით ლაპარაკობს მთელი დასავლური სამყარო, რომელმაც კარგად დაინახა, როგორ გადაუხვია საქართველომ აღთქმული მიზნისკენ მიმავალ გზას. მეტიც, ეს არის დასავლეთის პასუხი სააკაშვილისთვის უმძიმესი ბრალდებების წაყენებასა და პროკურატურაში დასაკითხად დაბარებაზე. მოკლედ, ნაცმოძრაობას სურს, როგორმე დაგვარწმუნოს, რომ სააკაშვილი არის მსოფლიოს ვარდისფერი მომავალი, უდიდესი ავტორიტეტი, რაღაც ენით უთქმელი და კანონით გაუთვალისწინებელი „სტატუსის“ მფლობელი. ამიტომ მისი უბრალო მოკვდავივით დაკითხვაზე დაბარება დანაშაულია ღვთის, ნატოს, ირმა ნადირაშვილისა და მსოფლიო დემოკრატიის წინაშე.

გასულ კვირას ექსპრეზიდენტმა თავის ტელეინტერვიუებში ღიმილით მოიგერია ყველა შეკითხვა მის „დაბარებაზე“ და განაცხადა, რომ არავითარ ბრალდებებს არ სცნობს, არავითარ შეკითხვებს არ უპასუხებს და საქართველოში მხოლოდ ივანიშვილის უღლისგან საქართველოს გასათავისუფლებლად ჩამოვა. იმ ივანიშვილისაო, ბრძანა პატივცემულმა მიხეილმა, ვინც ჩემს დასამარცხებლად რუსებისგან (პუტინისგან) ორი მილიარდი დოლარი მიიღოო.

ოთხმილიონიანი საქართველოს პრეზიდენტის ორ მილიარდად შეფასება ცოტა გადაჭარბებული მგონია, მაგრამ სააკაშვილი ტყუილს ხომ არ იკადრებდა! ეტყობა, პუტინიც ძალიან ხელგაშლილი კაცია.

## ჟვანიას საქმე

**გასულ კვირაში უკიდურესად დაიძაბა ვითარება ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში დაღუპვასთან დაკავშირებით. პროკურატურამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა რვა წლის წინათ — დააკავა ყოფილი პრემიერის წინა ხელისუფლების მიერ საეჭვოდ დაწინაურებული პირადი დაცვის თანამშრომლები და აშკარად არაკვალიფიციურად შესრულებული ექსპერტიზის შემსრულებლები, მოიპოვა ახალი მტკიცებულებები, დაკითხვაზე დაიბარა ის მაღალჩინოსნები, ვინც, შესაძლოა, რაიმე იცოდეს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილიც.**

**ბელადი, ფაქტობრივად, ქვეყნიდან გასულია და არც ისეთი მამაცია, უკან დაბრუნება მოინდომოს. რა თქმა უნდა, ამას ნაცები ხედავენ და გამოსავალს, თავის გადარჩენის გზებს ეძებენ. არჩევანი არცთუ მრავალფეროვანია: ყველაფრის აღიარება, მონანიება და პატიების თხოვნა; ქვეყნიდან გაქცევა; სრულფასოვანი რევანში და ხელისუფლებაში დაბრუნება.**

თუ გავიხსენებთ ძალიან სერიოზული დანაშაულობებისათვის ბევრი ყოფილი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს, გასულ კვირაში გავრცელებულ არცთუ უსაფუძვლო ინფორმაციებს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძის, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას, თბილისის ყოფილი მერისა და მისი მოადგილის, სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების შესაძლო დაპატიმრების შესახებ და ციხეში გამოკეტილ ხერხემალ ვანოსაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ ღარიბაშვილის ხელისუფლება თანდათან ავიწროვებს ალყას მთლიანად ნაცმოძრაობის ირგვლივ და გაქცევის პერსპექტივას უსპობს. ისიც დავუმატოთ, რომ ბელადი, ფაქტობრივად, ქვეყნიდან გასულია და არც ისეთი მამაცია, უკან დაბრუნება მოინდომოს. რა თქმა უნდა, ამას ნაცები ხედავენ და გამოსავალს, თავის გადარჩენის გზებს ეძებენ. არჩევანი არცთუ მრავალფეროვანია: **ყველაფრის აღიარება, მონანიება და პატიების თხოვნა; ქვეყნიდან გაქცევა; სრულფასოვანი რევანში და ხელისუფლებაში დაბრუნება.**

გასულ კვირას ნაცების აშკარად გამოხატული სამშობიარო კონვულსიები ამის ბრალიც უნდა იყოს. ვითარებას ისიც ართულებს, რომ ნაცებში არ ჩანს ახალი ბელადი, კრიტიკულ ვითარებაში პასუხისმგებლობას რომ იკისრებდა. თბილისის მერად წამოყენებული ნიკა მელია ამ როლისთვის აშკარად შეუფერებელია იმის მიუხედავად, რომ გასულ კვირაში სოლოლაკში ერთ-ერთი ისტორიული სახლის გარემონტებული სადარბაზო საჯაროდ გახსნა. გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან წავიდა. ქრისტიან-დემოკრატები ბურჯანაძესთან გადავიდნენ. უინსტონ ჩერჩილი მკვდარია და შალვა ნათელაშვილს არ სცალია - ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძვის (ნაცმოძრაობის წინააღმდეგ, კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და საკუთარი თავის წინააღმდეგ).

## ხმა გამე, პრეზიდენტო!

**გასულ კვირას გაერომ მიიღო რეზოლუცია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა დაბრუნების მხარდასაჭერად. ამ რეზოლუციას, გულახდილად რომ ვთქვათ, სიმბოლური მნიშვნელობა და გულის მომფხანის ფუნქცია თუ აქვს, მაგრამ ძალიან საინტერესოა კენჭისყრის შედეგები - 63 მომხრე, 16 წინააღმდეგი. რაც მთავარია, რუსეთთან ერთად რეზოლუციის მოწინააღმდეგეთა რიგებში კუბასთან, სირიასთან, ნაურუსთან და სხვებთან ერთად ბელორუსია და სომხეთიც აღმოჩნდნენ. დამაფიქრებელი და ჭკუის სასწავლებელი ამბავია.**

საგულისხმოა გასულ კვირას ატეხილი აჟიოტაჟი, ვინ მოაწერს ხელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, პრეზიდენტი მარგველაშვილი, თუ პრემიერი ღარიბაშვილი. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ ქართველმა პარლამენტარებმა, პარლამენტგარე პოლიტიკოსებმა, სამართალმცოდნე და კონსტიტუციონალისტმა ექსპერტებმა, ჟურნალისტებმა და უსაქმურებმა ქართულ კანონმდებლობაში აღმოაჩინეს წყალგაუვალი არგუმენტები ორივე პერსონის სასარგებლოდ. საბოლოოდ, უმრავლესობის აზრი პრემიერზე შეჩერდა — ხელშეკრულებაზე ხელს ირაკლი ღარიბაშვილი მოაწერს. ამის თაობაზე მან საკუთარი აზრიც კი გაგვიზიარა, მთავარია ფაქტი (ხელშეკრულება), ხოლო ხელმოწერა ვისი იქნება, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. პრეზიდენტ მარგველაშვილს აზრი არ გამოუთქვამს.

**დიდი ბოდიშის მოხდით, ერთი შეკითხვა უნდა დავსვა — თუ ამ პატიოსან კაცს, გიორგი მარგველაშვილს, არც შინ და არც გარეთ არავითარ პასუხისმგებლობას არ ვაკისრებდით, არაფერს ვავალებდით და არაფერს ვეკითხებოდით, პრეზიდენტად მხოლოდ მტრის თვალის დასაყენებლად ავირჩიეთ? რატომ დაიხარჯა მილიონები არჩევნებზე, რატომ ვანერვიულეთ სულ ტყუილად პრეზიდენტობის ათეულობით პრეტენდენტი? ის მაინც გაგვაგებინეთ საბრალო ამომრჩევლებს, რაზე შეიძლება მივმართოთ პრეზიდენტს, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, არ მითხრათ, პრეზიდენტთან რაციონალიზმისა და ეგზისტენციალიზმის საკამათო საკითხები გაარკვიეო.**

გამოდის, ჩვენი პრეზიდენტი ყოფილი პრეზიდენტისგან უმოწყალოდ დაჩაგრული მზია ბებოს ინტერესებსაც ვერ დაიცავს. არადა, ქალი აშკარად დაუჩაგრავთ. თანაც, რუდუნებით ნაზარდ შვილიშვილს — გასულ კვირას სააკაშვილმა საკუთარი პირით განაცხადა, იმის მიუხედავად, ჩემი პრეზიდენტობისას ჩემს ოჯახს ლუკმაპური ენატრებოდა, ლონდონში სასწავლებლად წასული ჩემი ცოლი სანდრა სადღაც ჩერდაკში კარლსონთან ერთად ცხოვრობს და მე ეკონომკლასით ვმოგზაურობ, გამზრდელ ბებიას ქმრის დატოვებული რესტორნის 15-პროცენტიანი წილი წავართვი და ვიღაცას ვაჩუქეო.

ეს გახლავთ აღიარებითი ჩვენება. გამოსაძიებელი ბევრი არაფერია და იმედია, ბატონი პრეზიდენტი პირადად დაინტერესდება უმწეო მზია ბებოზე ყოფილი პრეზიდენტის გაუგონარი ზეწოლის ფაქტით.

სხვა მხრივ, გასულ კვირას ბევრი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ კვირის ბოლოს საქართველოს ქარიშხალმა გადაუარა, თითქმის ყველგან თოვდა, ტემპერატურა ნულს ქვემოთ დაეცა და ზღვაზე ექვსბალიანი შტორმი მძვინვარებდა.

ასე რომ, ქართველ გლეხებს საქმე შეიძლება მისალოცად გქონდეთ: წლეულს ხილის მოსავალი, სავარაუდოდ, ძალიან მწირი იქნება და მის გასაღებაზე ზრუნვით დიდად არ შეწუხდებით.

**მიხეილ დარახველიძე**



**სავარაუდოდ, რაზე შეთანხმდნენ ვაშინგტონი და მოსკოვი უკრაინის მომავალზე, რეალურად რა ვითარებაა უკრაინაში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ვის აქვს გამარჯვების შანსები და, ასევე, როგორ აისახება უკრაინაში განვითარებული პროცესები საქართველოს უახლოეს მომავალზე? — ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი" კიევში მცხოვრებ ქართველ პოეტსა და მთარგმნელს, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, პროფესორ რაულ ჩილაჩავას ესაუბრა.**

# რუსეთმა უკრაინაში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგებსაც, ალბათ, სახელმძღვანელოებში შეიტანენ




**— ბატონო რაულ, ობამა-პუტინის სატელეფონო საუბრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და დასავლეთის მხრიდან რუსეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების შემდეგ, დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირება თვისობრივად ახალი ფაზაში გადავიდა. იმის მიუხედავად, რომ ამ სატელეფონო საუბარს მხარეები სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებას უკეთებენ, აშკარაა, რომ ვაშინგტონი და მოსკოვი უკრაინული კრიზისის დაძლევის გარკვეულ ფორმასა თუ მოდელზე შეთანხმდნენ. თქვენი შეფასებით, რა რეაქცია მოჰყვა ობამა-პუტინის სატელეფონო საუბრის შედეგებს უკრაინის ხელისუფლებასა და პოლიტიკურ წრეებში? და კიდევ, თქვენ როგორ აღიქვით ამ სატელეფონო საუბრის მთავარი გზავნილები, რომლის მიღებაც ჩვენთვის ამ საუბრის შესახებ რუსული, ამერიკული და ნაწილობრივ უკრაინული მედიასაშუალებებით გახდა შესაძლებელი?**

— პუტინის ზარი ობამასთან, მათი შეთანხმება უკრაინის კრიზისის გარშემო მოლაპარაკების შესახებ, კერისა და ლავროვის შეხვედრა — ესენი, ჩემი აზრით, ის გზავნილებია, რომელთა თანახმადაც, რუსეთის სამხედრო რიტორიკა და მოქმედებები დიპლომატიას დაუთმობენ ადგილს. სავარაუდოდ, კრემლი აღარ გააგრძელებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე იარაღის ჟღარუნს და შეეცდება, „სამშვიდობო წინადადებების" ფასად ყირიმი უმტკივნეულოდ შემოიმტკიცოს.

გარდა ამისა, შეთავაზებათა მორიგ პაკეტში უკრაინის ხელისუფლებისთვის მას უსათუოდ ექნება რამდენიმე ისეთი, შედარებით რბილი ულტიმატუმი, რომლებზეც გარემოებათა გამო თანხმობას მიიღებს. ვფიქრობ, ჯერჯერობით, პუტინისთვის ეს სრულიად საკმარისია. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მან ერთხელ კიდევ მოუსინჯა კბილი მსოფლიოს და დარწმუნდა, რომ მასთან თავხედობა სავსებით შესაძლებელია. თუმცა, ალბათ, ისიც იგრძნო, რომ არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის იქითაც შეიძლება გამარჯვება დამარცხებად შეიცვალოს. და ეს დამარცხება იქნება არა პირდაპირ სამხედრო, არამედ ირიბი, მაგრამ მტკივნეული და ხანგრძლივი. ვგულისხმობ ზნეობრივ და ეკონომიკურ დანაკარგებს, რომელთა ანაზღაურებასაც არანაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ზარბაზნებით მიყენებული იარების მოშუშებას.

და თუ პირველი, არც პუტინისთვის და არც რუსეთისთვის მთლიანად ბევრს არაფერს ნიშნავს, მეორეს, შესაძლოა, ორივე თან გადაჰყვეს. სწორედ თვითშენახვის ინსტინქტი, რომელიც ყველა მტაცებელს ახასიათებს, არც პუტინისთვისაა უცხო, მიმაჩნია იმ მუხრუჭად, რომელსაც შეუძლია რუსული დივიზიები უკრაინის მისადგომებთან შეაჩეროს. ეს არ იქნება დამარცხებულის უკანდახევა, რადგან კრემლის მბრძანებელმა ერთდროულად რამდენიმე მიზანს უკვე მიაღწია:

**1. უმსხვერპლოდ დაიბრუნა, როგორც რუსეთის უდიდეს ნაწილს მიაჩნია, ისტორიულად კუთვნილი ყირიმი;**

**2. აჩვენა მსოფლიოს ლიდერებს, რომ მათი არ ეშინია და ძალუძს, დამოუკიდებლად გადაჭრას საკუთარი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები.**

**3. უკრაინა, ისევე როგორც ნებისმიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, მისი ერთპიროვნული გავლენის სფეროა და იქ სხვების დომინირებას არ დაუშვებს.**

**4. ნატოს შემდგომი გაფართოება აღმოსავლეთით გამოიწვევს ნახევარი უკრაინის ანექსიას მაინც, რასაც ევროპაში არნახული დესტაბილიზაცია და სრულიად არაპროგნოზირებადი მოვლენები მოჰყვება.**

**5. გამოსცადა თანამედროვე ომის სრულიად ახალი სახეობა, როცა კბილით ფეხებამდე შეიარაღებულ „მწვანე კაცუნების" მცირე კონტინგენტს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე კლასიკური გზით შემოჭრილ არმიის ნაწილებს.**

**6. დაამსხვრია მითი საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა გარანტიების შესახებ და ცინიკურად მიგვანიშნა, რომ ისინი არის ფარატინა ქაღალდები, რომლებსაც ომის რეალური საფრთხის წინაშე არანაირი დამცველი მექანიზმები არა აქვთ.**

**7. სანამ თვითონ რუსეთის პრეზიდენტია, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოს წევრები ვერ გავხდებით. შეგვიძლია ევროკავშირისკენ ვისწრაფოთ, მაგრამ ამ ეტაპზე ალიანსში წევრობის იმედს დავემშვიდობოთ! თუ ეს ვარაუდები სწორია, მთელ მსოფლიოს მოუწევს საერთაშორისო ურთიერთობათა საფუძვლების ტოტალურად გადახედვა, ხოლო ჩვენ, როგორც მეორე თუ მესამე ლიგის მოთამაშეებს, მათი შედეგების არა მარტო მიღება, არამედ სავსებით გაზიარებაც, რადგან, სამწუხაროდ, ამ ცისქვეშეთში დამოუკიდებლად არაფერს ვწყვეტთ (რათა არავინ შემომედავოს, დავაზუსტებ: ვერ ვწყვეტთ!).**

**— თქვენი აზრით, ვაშინგტონმა შეძლო დაეყოლიებინა კრემლი, უარი ეთქვა უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე, მაგრამ კიევს მოუწევს, დათანხმდეს ქვეყნის ფედერალიზაციას, რასაც კრემლი კიევისგან ასე დაჟინებით მოითხოვდა? ანუ, კიევი „მშვიდობის" სანაცვლოდ მისთვის წამგებიან პერსპექტივაზე დათანხმდა?**

— უკრაინის ფედერალიზაცია, რომელიც რუსეთის დიდი ხნის ოცნებაა, პრაქტიკულად გულისხმობს ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაყოფას, როცა ორივე ნაწილს საკუთარი მიზიდულობის ცენტრი ექნება. ამ შემთხვევაში რუსეთი მიიღებს იმას, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძვის, ანუ დაამყარებს ჰეგემონიას უკრაინის მომიჯნავე რუსულენოვან ოლქებზე.

ეს კი იმის საწინდარი გახდება, რომ საჭიროების შემთხვევაში, კრემლი კვლავაც შესძლებს, აქტიურად ჩაერიოს უკრაინის საშინაო საქმეებში. ეს კიევისთვის მართლაც წამგებიანი პერსპექტივაა და, არა მგონია, ჯერჯერობით მასზე თანხმობა არსებობდეს.

რაც შეეხება კრემლის დაყოლიებას, ცხადია, თუკი ასეთი მოხდა, იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი კეთილი ნების გამოხატულება. ერთი პოლიტოლოგის მოსწრებული თქმისა არ იყოს, პუტინს აშკარად მიუთითეს იმ ადგილზე, რომელიც მას უკავია ტაბელში რანგების შესახებ. უკვე ის ფაქტი, რომ აშშ მზად არის, გახსნას თავისი ენერგორესურსების მარაგი და გადმოისროლოს საერთაშორისო ბაზარზე, რუსეთის ეკონომიკას დიდ საფრთხეს უქმნის. ეს საფრთხე გაორმაგდება, თუკი საუდის არაბეთი იმავე ამერიკის თხოვნით უკრაინას მისცემს 15 მილიარდიან კრედიტს და ერთდროულად ერთი ბარელი ნავთობის ფასს 90 დოლარამდე დასწევს. არსებობს, ალბათ, რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლის სხვა, ჯერ კიდევ გაუხმოვანებელი გეგმებიც. მაგალითად, სოროსისა, რომელთა შესახებ პუტინის ოლიგარქიულმა გარემოცვამ იცის. ძნელი მისახვედრი არაა, რომ მომავალი ეკონომიკური სანქციები უპირველესად სწორედ მათ ბიზნესინტერესებს დააზარალებს.

ჩემი აზრით, თავად პუტინიც, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მილიარდერი, ვფიქრობ, არ არის მზად, დედარუსეთის იმპერიულ ამბიციებს ანაცვალოს „ოფლით მოპოვებული" უზარმაზარი კაპიტალი და მომავალი საკუთარი კეთილდღეობა. ასე რომ, წინ მოლაპარაკებათა რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ უკვე მათი დასაწყისი ნიშანი იქნება იმისა, რომ ომი გადაიდო.

**— უკრაინის კრიზისის დაწყების პირველივე დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ რევოლუციაგამოვლილი, შიდადაპირისპირების შედეგად დაუძლურებული და ეფექტური მართვის გარეშე დარჩენილი ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა, მეზობლის მზაკვრობისთვის ღირსეული პასუხი გაეცა. რუსი პოლიტიკოსები აღარც მალავენ, რომ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში კორექტივების შეტანაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი რუსული სპეცსამსახურები. თქვენი აზრით, რატომ აღმოჩნდა ასე უსუსური უკრაინული სახელმწიფო, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია რუსეთისათვის მის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევისას?**

— სიტუაცია, რომელშიც უკრაინა ახლა აღმოჩნდა, რუსეთის მიერ დიდი ხნის წინ დაგეგმილი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია.

საბჭოთა კავშირის დაშლიდანვე უკრაინაში მოქმედებდა მთელ ქვეყანაში განტოტვილი იდეოლოგიური და სამხედრო დივერსანტების ქსელი, რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავდაცვისუნარიანობას, ეროვნულ მთლიანობას. სახელმწიფო მართვის პრაქტიკულად ყველა სფეროში ჩანერგილი იყვნენ კარგად გაწვრთნილი აგენტები, ანუ ე.წ. თხუნელები და სწორედ მათი კოლექტიური საქმიანობის შედეგია უკრაინის დღევანდელი ფიასკო საშინაო თუ საგარეო გამოწვევების წინაშე.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, როცა უკრაინას ერთპიროვნულად მართავდა ვიქტორ იანუკოვიჩი, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობები რუსებს და სხვა არაუკრაინელებს ეკავათ. ამ ხნის განმავლობაში ორგზის გამოიცვალეს თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები - რუსეთის მოქალაქე ეთნიკური რუსები (ვფიქრობ, არ ღირს საუბარი იმაზე, თუ ვის მითითებებს ასრულებდნენ ისინი). გარდა ამისა, ქვეყანაში ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობა მხოლოდ დონეცკელების ხელში იყო, რომელთა პოლიტიკური ორიენტაცია არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. იანუკოვიჩი არასოდეს ყოფილა მთელი უკრაინის პრეზიდენტი, იგი წარმოადგენდა მხოლოდ იმ რეგიონებს, სადაც ამჟამად თავაწყვეტილი ანტიუკრაინული ბაკქანალია სუფევს. მათი პირდაპირი ძალისხმევით კატასტროფულად შემცირდა უკრაინის არმია და მისი დაფინანსება, უფუნქციოდ დარჩა უშიშროების სამსახური და, რაც მთავარია, გაიძარცვა ქვეყნის ხაზინა. როგორც კი ყირიმის კონფლიქტი დაიწყო, უკრაინის თავდაცვის აწ უკვე ყოფილი მინისტრი სევასტოპოლში „გამაგრდა" და იქიდან ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ გუშინ საკუთარი არმიის საწინააღმდეგო მოქმედებებს. ასე რომ, რუსეთმა უკრაინაში მართლაც გრანდიოზული სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგებსაც, ალბათ, სახელმძღვანელოებში შეიტანენ.

**— რამდენად სარწმუნოა მტკიცება, რომ ამის მიზეზი არა იმდენად სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობა, არამედ უკრაინელებისა და რუსების სლავური წარმოშობა, ერთმორწმუნეობა და იმის წარმოუდგენლობა იყო, რომ რუსეთი უკრაინის მიმართ ისეთ ნაბიჯებს გადადგამდა, რაც გადადგა...**

— ეს მომენტიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რადგან ფსიქოლოგიური ბარიერი რუსებსა და უკრაინელებს შორის ომის დასაწყებად მართლაც არსებობდა. თუმცა, მაინც მგონია, რომ ეს ბარიერი დაიძლეოდა, ქვეყანა მატერიალურად რომ ყოფილიყო მზად. განა სამოქალაქო ომის დროს, რაც ყველა ომზე უმძიმესია, ძმა ძმას არ ესვრის? თანაც ხშირად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

**— დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი უკრაინაში აქტიურ სამხედრო მოქმედებებს არ დაიწყებს?**

— იმედის პირველი სხივი მაშინ გაკრთა, როცა ცნობილი გახდა ობამასთან პუტინის ზარის შესახებ. მოგეხსენებათ, მსგავსი რამეები შემთხვევით არ ხდება. განსაკუთრებით მენიშნა ის, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ ენდო ვერბალურ ტექსტს და მოსაუბრისგან ოფიციალური ტექსტი მოითხოვა, რომელშიც, ალბათ, უკრაინისთვის გარკვეული გარანტიები უნდა ჩაიწეროს.

პირველ გარანტიად კი, როგორც ცნობილია, ამერიკა უკრაინის საზღვრებიდან რუსეთის ჯარების მოშორებას მოითხოვს. კიდევ ერთი ირიბი მინიშნება: 29 მარტს ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო შეხვდა თავის უკრაინელ სეხნია ტურჩინოვს, რაც არა მგონია, მისი პირადი ინიციატივა ყოფილიყო. თანაც წინადღით „ბატკას" ხანგრძლივი ინტერვიუ ჰქონდა უკრაინულ არხზე სავიკ შუსტერთან, სადაც ბევრი ისეთი რამე თქვა, რასაც ეს გამოცდილი და ეშმაკი პოლიტიკოსი მოსკოველ კოლეგასთან შეუთანხმებლად ნამდვილად ვერ იტყოდა. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ ფედერალიზაცია უკრაინისთვის დამღუპველია და ამის დაშვება არ შეიძლება. ასევე მიანიშნა, რომ ვერ წარმოუდგენია ომი რუსეთსა და უკრაინას შორის.

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი — ლუგანსკში, დონეცკსა და ხარკოვში უკრაინის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მოახერხა სეპარატისტული ვნებების ჩაცხრობა და სამართალდამცავთა ენერგიული ჩარევის შემდეგ ისინი ძველებურად აღარ ბობოქრობენ. რა თქმა უნდა, ამ ფაქტებზე დაყრდნობით ერთმნიშვნელოვნად ვერ დავასკვნით, წავა თუ არა პუტინი ომზე, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმედის პირველი სხივი გაკრთა, რაც სასიხარულოა.

იხ. 8 გვ.

**„არეულობა და დესტაბილიზაცია ამ ქვეყანაში, უწინარესად, „ნაციონალურ მოძრაობას“ აწყობს“, — აცხადებს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, რომლის განცხადებით, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, ვის რა ამოძრავებს და ვინ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ.**

**ვინ არის პრორუსული აქციის ორგანიზატორი და რატომ უფრთხის ყოფილი მმართველი ძალა ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას? ამ საკითხებზე for.ge მანანა კობახიძეს ესაუბრა.**



# სამართლიანობის აღდგენა კი არა, დამკვიდრებაა საჭირო!

**— ფიქრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ამ აქციების ორგანიზატორი?**

— არ ვიცი, ამას გამოკვლევა სჭირდება. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, ვის რა ამოძრავებს, ვინ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ჩვენ სტაბილურობა და წესრიგი გვინდა. ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე ვდგავართ, რასაც ევროპაში ინტეგრაცია ჰქვია. თუ ვინმეს ეს არ აწყობს, ცხადია, კანონის წინაშე პასუხი ყველამ უნდა აგოს, ვინც კანონის ზღვარს გადავა.

ძალიან საინტერესოა, საერთოდ რა ამოძრავებს ამ ხალხს, რა ინტერესები აქვთ. ვიღაცას შეიძლება არ აწყობს ქვეყნის საგარეო კურსი, არ მოსწონს ქვეყნის ევროპაში ინტეგრაციის რეალური პრესპექტივა და თავისი განსხვავებული ხედვები აქვს. გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული და ეს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, კანონი უნდა დაიცვან იმ ადამიანებმა, ვისაც განსხვავებული ხედვა აქვთ.

**— რაც შეეხება ყოფილ პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურ დაკითხვაზეც უარს ამბობს, სააკაშვილს პროკურატურამ ერთკვირიანი ვადა მაინც მისცა. რა გზა რჩება პროკურატურას იმისათვის, რომ ყოფილი პრეზიდენტისგან ჩვენება მიიღოს?**

— არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ერთმნიშვნელოვნად არის გაწერილი, რა ზომას უნდა მიმართოს პროკურატურამ, თუ მოწმე თავს არიდებს საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებას. სააკაშვილი არანაირად არ დგას კანონზე მაღლა. ის არის ყოფილი პრეზიდენტი, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეა. არაერთი შემთხვევა არსებობს, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი დაუკითხავთ მოწმის სახით. ეს როგორც აშშ-ში, ისე ევროკავშირის ქვეყნებში არანაირად არ უკვირთ. მით უმეტეს, თუ საუბარია ადამიანზე, რომელიც დღეს არანაირი იმუნიტეტით არ სარგებლობს და არის ჩვეულებრივი მოქალაქე.

სააკაშვილი ვალდებულია, კანონს დაემორჩილოს და მისცეს ჩვენება. თუ ამას არ გააკეთებს, ცხადია, პროკურატურამ კანონის შესაბამისად უნდა იმოქმედოს. „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა და, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. სააკაშვილისგან კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე სურთ ჩვენების მიღება. თუ საქართველოში ჩამოსვლის ეშინია, შეთავაზებულია „სკაიპით“ დაკითხვა. მაგრამ სათანადო პასუხისმგებლობა არ ჰყოფნის, რომ პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომელიც მის მიმართ არსებობს.

**— skype-ით დაკითხვა შესთავაზეს მხოლოდ გირგვლიანის საქმეზე, კუდ-ის მაღალჩინოსნების შეწყალების კანონიერებასთან დაკავშირებით. სააკაშვილი ამბობს, რომ ადამიანები, რომლებმაც გირგვლიანი მოკლეს, მხეცები არიანო, თუმცა, სწორედ ეს მხეცები შეიწყალა. ამ შეწყალებას კი საქმის პოლიტიზებით ხსნის...**

— საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში. ჯერ აღიარა, რომ გირგვლიანის საქმე წინა ხელისუფლების შეცდომაა. თან აღნიშნა, რომ ვინც ის მოკლა, მხეცები არიანო და იქვე გაჩერდა. ალბათ, ჟურნალისტს უნდა ეკითხა, თუ ასე იყო, მაშინ რატომ შეიწყალეთო. ის, რომ საქმე პოლიტიზებული იყო და ამიტომ შეიწყალა, ეს არაა ლოგიკა. დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, პირი შეიწყალოსო, დიახ, ასეა და ეს მისი უფლებაა, მაგრამ პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ბოროტად გამოიყენოს ეს უფლება. ნებისმიერ შეწყალებას საფუძველი უნდა ჰქონდეს. საინტერესოა, რითი იხელმძღვანელა მან, როცა ამბობს, რომ ისინი მკვლელები არიან და წელიწადნახევრის შემდეგ ეს მკვლელები შეიწყალა.

ძალიან საინტერესოა, რატომ გაურბის ამ კითხვებზე პასუხს? „ნაციონალები“ ამბობენ ყველა საქმეზე ერთად რატომ დაიბარეთო, მაგრამ ცალ-ცალკე რომ დაებარებინათ, დარწმუნებული ვარ ამაზეც იყვირებნდენ. როცა უნდა დაებარებინათ და რომელ საქმეზე, ნებისმიერ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ იყვირებდა, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა.

მეგის ქარდავას, კოხტა კოდუას და მწამებლებს რომ იბარებენ, ამაზეც პოლიტიკურ დევნაზეა საუბარი. მათი ლექსიკონი გახდა სიტყვა „პოლიტიკური დევნა“. ეს შიდა მოხმარებისთვის არაა, უფრო გარე მოხმარებისთვის არის გათვლილი, რათა დასავლეთს შეუქმნან წარმოდგენა, რომ აქ ვიღაცას დევნიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგად შეისწავლეს დასავლეთში მათი ეს ტაქტიკა.

**— პროკურატურა ამბობს, რომ დაკითხულია მოწმეები, მიმდინარეობს ექსპერტიზა, ამოღებულია ნივთმტკიცებაც. როდესაც მოწმე უარს ამბობს ჩვენებაზე, ამ შემთხვევაში როგორ უნდა ამტკიცოს პროკურატურამ, რომ სააკაშვილი არის ამ საქმეებში დამნაშავე?**

— საუბარია მხოლოდ მოწმის სახით დაკითხვაზე. პროკურატურას არ უთქვამს, რომ იგი აპირებს, ბრალი წაუყენოს სააკაშვილს და ვერც იტყოდა. ჯერ ადამიანს უნდა ჰკითხო, რა ინფორმაცია აქვს ამა თუ იმ დანაშაულზე. ამის მერე თუ გექნება მტკიცებულებათა ერთობლიობა და ბრალის წაყენების საფუძველი, ეს უკვე სხვა საკითხია.

მე არანაირად არ გავუსწრებ მოვლენებს და არ ვიტყვი, რა უნდა გააკეთოს პროკურატურამ, ეს მათი გასაკეთებელია. სწორედ ეს უნდათ, გამოვიდეთ და ვიყვიროთ, დაიჭირეთ სააკაშვილიო, მაგრამ ამას არ ვიტყვით, ეს არაა ჩვენი სათქმელი. პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს, თუ სააკაშვილის ქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები და საფუძველი, რომ ბრალი წაუყენონ, ეს მათი გადასაწყვეტია.

ის გამონათქვამები, რასაც ახლა იყენებს სააკაშვილი, უწინარესად, არ შეეფერება იმ რანგის ადამიანს, რომელიც იყო ქვეყნის პრეზიდენტი. ეს მას ამდაბლებს და მის უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს. არ შეიძლება ასე იქცეოდეს ადამიანი, რომელიც იყო ქვეყნის პრეზიდენტი. სამწუხაროა, რომ ასეთი პრეზიდენტი ჰყავდა ქვეყანას. მას არ ყოფნის პასუხისმგებლობა, რომ ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

არ მინდა დაკითხვა, ეს ჰგავს იმას, რომ არ მინდა ბაღში წასვლა. რას ჰქვია, არ მინდა დაკითხვა?! როცა გამოძიებას აქვს კითხვები, ის ვალდებულია, მივიდეს და გასცეს პასუხი. რითი არის იმ ადამიანებზე უკეთესი, თუნდაც მის თანაგუნდელებსა და თანამებრძოლებზე, რომლებიც მიდიან და ჩვენებას აძლევენ პროკურატურას?! დაღელაშვილზე უკეთესი რითი არის სააკაშვილი? მივიდა და მისცა ჩვენება გამოძიებას. უნდა შეეგუოს, რომ მობრძანდეს და პასუხი გასცეს პროკურატურის კითხვებს.

**— თქვენ ამბობთ, რომ პროკურატურას ვერ უკარნახებთ, როგორ უნდა იმოქმედოს, მაგრამ პრემიერის განცხადებაზე, რომ მინდა დავამშვიდო შეშინებული პრეზიდენტი და ვუთხრა, რომ მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა, ამას მოჰყვა უმცირესობის პასუხი, რომ ღარიბაშვილი პროკურორის ენით ესაუბრება საზოგადოებას. რამდენად სწორად მიგაჩნიათ, როდესაც პრემიერი პროკურორის სათქმელს ახმოვანებს?**

— ირაკლი ღარიბაშვილი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. პროკურატურა შედის აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში იუსტიციის სამინისტროს სახით. დღეს ისევ და ისევ, იმ ცვლილებებით, რომელიც სააკაშვილის დროს შევიდა კონსტიტუციაში, პროკურატურა სწორედ მთავრობის და პრემიერის დაქვემდებარებაშია, როგორც აღმასრულებელი სტრუქტურის ერთ-ერთი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ღარიბაშვილი პროკურორის რანგში კი არ გვევლინება, არამედ გვევლინება როგორც მთავრობის მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას. როგორც პრემიერს, მას უფლება აქვს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება. არანაირად კანონს არ არღვევს.

**— არა მარტო ყოფილი ხელისუფლება, არამედ ამ კითხვას სვამენ უფლებადამცველები. რატომ იწყებს პროკურატურა საქმეებზე რეაგირებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინტერნეტით გავრცელდება კონკრეტული საქმე. ასე იყო მუხროვანის საქმის შემთხვევაში, ეს საქმე მანამდეც ჰქონდა პროკურატურას, მაგრამ გამოძიება მხოლოდ ინტერნეტით გავრცელებული კადრების შემდეგ დაიწყო. ასევე მოხდა ჟვანიას შემთხვევაშიც. არ გიჩნდებათ კითხვა, რა უშლიდა ხელს გამოძიებას, რომ მანამდე დაეკითხა დაცვის წევრები, სანამ ეს კადრები გამოქვეყნდებოდა?**

— ერთია, რა აიტვირთა ინტერნეტში და რა გზით... ამაზე ცალკე მიდის გამოძიება და ამას იძიებს შსს. რაც შეეხება საქმის გამოძიებას, მე ზუსტად ვიცი, რომ ჟვანიას საქმეზე ინტენსიურად მომდინარეობს გამოძიება, ამას ადასტურებს გოგლა ჟვანიაც. ეს საქმე თაროზე იყო შემოდებული. იქ როდის რა მოხდა, ეს მე არ ვიცი. ვისი დაკითხვა როდის ჩათვალა საჭიროდ პროკურატურამ, ეს მისი გადსაწყვეტია. საქმის მასალები არ მინახავს. რაც შეეხება მუხროვანის საქმეს, პროკურატურაში ძალიან ბევრი საჩივარია, საქმეების გადამუშავება მიდიოდა.

გამოძიება რა სტადიაში იყო, ეს მე არ შეიძლება ვიცოდე, მაგრამ რაღაცა კადრების გავრცელების შემდეგ გამოძიების ინტენსიურობა იზრდება, ესეც ლოგიკურია. საზოგადოების ინტერესი კიდევ უფრო ღრმავდება, როდესაც ასეთი სახის ინფორმაცია ვრცელდება საჯარო სივრცეში.

9 წელი თაროზე იყო შემოდებული ჟვანიას საქმე, ყველაფერი თავიდან არის გამოსაძიებელი და რა გასაკვირია, თუკი ამას ერთი, ან ორი წელი სჭირდება?

**— „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან მტკივნეულად აღიქვამს ზურაბ ჟვანიას საქმის ძიებას, რომელიც დასასრულისკენ მიდის...**

— ღირსების საკითხია ამ საქმის გამოძიება. გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი იპოვეს ქვეყნის მეორე პირი. ამას დაარქვეს გაზით გაგუდვა, თაროზე შემოდეს საქმე და უამრავი კითხვის ნიშანი დატოვეს. მთელი ეს რეაქციები, რაც მოჰყვა ამ საქმის გამოძიებას, მეტყველებს იმაზე, რომ მათ არ უნდათ ამ საქმის ხსენება, მათ ძალიან აშინებთ საქმის გამოძიება. ისტერიკა ემართებათ, ყვირიან, ამ საქმის პოლიტიზებას ახდენენ და მაშინვე იწყებენ საუბარს, რომ თქვენ გინდათ ჩვენი დევნაო. მათი ამ აჟიოტაჟით მთელი საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნეს იმაში, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ამ ძალიან მძიმე ფაქტთან რაღაც შემხებლობა უნდა ჰქონოდა. საუბარია არა უბედურ შემთხვევაზე, არამედ მკვლელობაზე. მათივე რეაქციები კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ეჭვებს.

**— ისინი ამბობენ, რომ პროკურატურას ისევ კრიმინალი ფარცხალაძე მართავს. თქვენი ინფორმაციით, პროკურატურას ისევ ფარცხალაძე აკონტროლებს?**

— იცით, დაზეპირებული ფრაზები აქვთ, აიკვიატეს ეს ფარცხალაძე და ამ დროს ძალიან უსუსრია მათი არგუმენტი. დახვეული აქვთ ეს ერთი მესიჯი „ფარცხალაძე კრიმინალი“, რაც სასაცილოა. სამართლებრივად მას არანაირი პრობლემა არ ჰქონდა და შეეძლო მუშაობა, მაგრამ ის, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით სრულიად განსხვავებული მიდგომა გვაქვს, ეს ფაქტია და ეს მისი გადადგომით დასტურდება. პროკურატურას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი და სწორედ ის ხელმძღვანელობს ამ უწყებას. რა შუაშია აქ ფარცხალაძე?!

**— რაც შეეხება გენერალ გოგი თათუხაშვილის შვილის საქმეს. ის იყო ახალაიას საქმის მოწმე. გამოძიებით ირკვევა, რომ მან ლევან ქარდავას და დავით ახალაიას წინააღმდეგ მისცა ჩვენება. მისივე თხოვნით მას დაცვა დაუნიშნა პროკურატურამ,თუმცა შემდეგ მოუხსნა. ოჯახი ამტკიცებს, რომ თვითმკვლელობამდე ის გაუჩინარებული იყო. ფაქტია, რომ შალვა თათუხაშვილს აქვს ძალადობის უმძიმესი კვალი. თუ დაინტერესდება უმრავლესობა, რა მოხდა თათუხაშვილის შემთხვევაში?**

— ნებისმიერი ძალადობის კვალი უნდა იყოს გამოძიებული. ექსპერტიზა თუ ადასტურებს, რომ ამ ადამიანს ჰქონდა ძალადობის კვალი და რა შეიძლება იყოს მიზეზი, ამ ყველაფერს გამოძიება სჭირდება. თუ დგინდება, რომ ეს ძალადობის კვალი არის სიცოცხლისდროინდელი და არის ამის შესახებ ეჭვები, უნდა ჩატარდეს გამოძიება და გაირკვეს, რა მოხდა.

საერთოდ, როდესაც საქმეზე მნიშვნელოვანი მოწმე იღუპება, თუნდაც თავს იკლავს, ან რაღაცა ვითარებაში გარდაიცვლება, ეს საქმისთვის არ არის კარგი. როცა მოწმე მნიშვნელოვანია, ასეთი მოწმე, პირიქით, პროკურატურას უნდა სჭირდებოდეს და მისი დაცვა პროკურატურის ინტერესებშია. ძალადობის და წამების გამართლება არ არსებობს ამ ქვეყანაში, ეს დაუშვებელია. ამისთვის ვიბრძოდით ჩვენ, რომ წამება და არადამიანური მოპყრობა არ ყოფილიყო.

**— პოლიტპატიმრებმა უნდობლობა გამოუცხადეს იუსტიციის მინისტრს. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით მათ დაიწყეს აქციები. რას უპასუხებთ ამ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი უფლების აღდგენას ითხოვენ?**

— სამართლიანობის დამკვიდრება ჩვენი მთავარი ამოცანაა. დაწყებულია იმ საქმეების გამოძიება, რომელიც თაროზე იყო შემოდებული და არ იხილებოდა, დაწყებულია გამოძიება. ათი ათასზე მეტი საჩივარია შესული. არ ვიცი, თეა წულუკიანთან რა პრეტენზია აქვთ. პროკურატურას აქვს ვალდებულება, რომ რეაგირება მოახდინოს საჩივრებზე, თუნდაც იმ კანონის ფარგლებში, რაც დღეს არსებობს. სამწუხაროდ, სამართლიანობა არასოდეს არ ყოფილა ამ ქვეყანაში და ამიტომ აღდგენაზე კი არა, დამკვიდრებაზე უნდა იყოს საუბარი. იმაზე, რომ კანონი იქნეს დაცული. 200-მდე პოლიტპატიმარი გარეთ რომ გამოვუშვით, ამნისტიით ადამიანების სიცოცხლე რომ ვიხსენით, ეს სამართლიანობის აღდგენა არაა?!

**გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი იპოვეს ქვეყნის მეორე პირი. ამას დაარქვეს გაზით გაგუდვა, თაროზე შემოდეს საქმე და უამრავი კითხვის ნიშანი დატოვეს. მთელი ეს რეაქციები, რაც მოჰყვა ამ საქმის გამოძიებას, მეტყველებს იმაზე, რომ მათ არ უნდათ ამ საქმის ხსენება, მათ ძალიან აშინებთ საქმის გამოძიება. ისტერიკა ემართებათ, ყვირიან, ამ საქმის პოლიტიზებას ახდენენ და მაშინვე იწყებენ საუბარს, რომ თქვენ გინდათ ჩვენი დევნაო.**

**თამთა ქარჩავა**

ეკოლოგია

# მასალები მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა





**დაბა კაზრეთში 27 თებერვალს მდინარის დაბინძურებისა და დიდი რაოდენობით თევზის დახოცვის ფაქტთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მასალები საქართველოს მთავარ პროკურატურას, ხოლო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის გამო სასამართლოს გადაუგზავნა, რის შესახებაც შევხვდი და ვესაუბრე გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს ნელი კორკოტაძეს.**

27 თებერვალს მდინარის დაბინძურებისა და თევზების დახოცვის ფაქტზე კომპანია „არემჯიმ“ განცხადება გაავრცელა და გაფიცულებისკენ მიათითა – „იმის გამო, რომ საწარმოს შესასვლელი ბლოკირებულია და კომპანიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც არ უერთდებიან უკანონო აქციას და არ ეძლევათ საშუალება, განახორციელონ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, რაიონი ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დადგა...“

იმჟამად კომპანია „არემჯის“ მოქმედი და გათავისუფლებული თანამშრომლები საპროტესტო აქციას მართავდნენ, მაგრამ გაფიცულებმა საჯაროდ განმარტეს და ტელევიზიით არაერთი ვიდეოკადრი გავიდა, რომლის თანახმად, საწარმოს შესასვლელი ბლოკირებული არ ყოფილა – გაფიცულებს სირცხვილის დერეფანი ჰქონდათ გაკეთებული.

ნელი კორკოტაძე, მდინარის დაბინძურებისა და დიდი რაოდენობით თევზის დახოცვის ფაქტთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს უპასუხებს:

**– როგორ შეიტყვეთ მდინარე მაშავერას დაბინძურებისა და თევზის დახოცვის შესახებ?!**

– 27 თებერვალს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და ქვემო ქართლის სამსახურში შეტყობინება შემოვიდა, რომლის თანახმადაც მდინარე მაშავერაში შეინიშნებოდა თევზის დიდი რაოდენობით დახოცვის ფაქტი. ჩვენი ადგილობრივი წარმომადგენლობა იმავე დღეს, შეტყობინებისთანავე შემთხვევის ადგილზე მივიდა. მათ სინჯები აიღეს, ასევე ფოტოები გადაიღეს.

სამინისტროს ცენტრალური აპარატი, კერძოდ გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახური, რომლის უშუალო ფუნქციაა დაბინძურების კონტროლი, ამ პროცესში რამდენიმე საათში ჩაერთო. ისინი დაბა კაზრეთში ჩავიდნენ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად. ეს სააგენტო სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც აქვს შესაბამისი აღჭურვილობა, ხელსაწყოები და ლაბორატორია. სინჯები რამდენიმე ადგილიდან ავიღეთ.

**– შეხვედით საწარმოს ტერიტორიაზე?**

– დიახ, ჩვენი დეპარტამენტის უფროსის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე საწარმოს ტერიტორიაზე შევედით. შემდგომ კი წერილობითი ბრძანება გამოიცა. ეს კანონმდებლობაშია გაწერილი.

**– დაათვალიერეთ ის ადგილი, საიდანაც სითხე გადმოიღვარა?**

– რასაკვირველია, დავათვალიერეთ. დაახლოებით ხუთი ათასი კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარი ვნახეთ, სადაც გროვდება მჟავე კარიერული წყლები, ანუ კარიერებიდან ამოტუმბული წყლები. აი, ამ რეზერვუარიდან ჩაიღვარა წყლები მდინარე კაზრეთულაში და შემდეგ კაზრეთულადან აღმოჩნდა მდინარე მაშავერაში. მდინარეში იყო მძიმე მეტალების, მანგანუმის გადამეტებული შემცველობა. მდინარეში ჩაღვრილი კარიერული წყლების გამო დიდძალი თევზი დაიხოცა.

**– რა ბედი ეწია დახოცილ თევზს?**

– თევზი მდინარეს გაჰყვა, შეიძლება მოსახლეობამაც აიღო, ეს ზუსტად არ ვიცი.

**– გავრცელებული ინფორმაციით, მკვდარი თევზები მოსახლეობამ აკრიფა და მიირთვა.**

– ჩვენ ვაფრთხილებდით მოსახლეობას, ეს არ გაეკეთებინათ. ზემოხსენებული ფაქტის გამო დახოცილი თევზის საკვებად მიღება სასურველი არ არის. თუმცა, თუ ამგვარი რამ მოხდა, ეს პანიკის საფუძველი შეიძლება არც გახდეს, რადგან თევზი მდინარეში ჟანგბადის ნაკლებობის გამო დაიხოცა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ყველა ის კვლევა ჩაატარა, რაც მის კომპეტენციაში შედის. მას შემდეგ, რაც ლაბორატორიული ანალიზების შედეგები მივიღეთ, მასალები 21 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადავგზავნეთ, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები შეინიშნებოდა. მათში მითითებულია გარემოსთვის მიყენებული, 1 მილიონ ლარზე მეტი რაოდენობის ზიანი.

**– ანუ, ერთი, ე.წ. ზალპური ჩაშვების შედეგად გარემოს ერთი მილიონი ლარის ზიანი მიადგა?!**

– დიახ, ასე მოხდა. ამას ჰქვია ავარიული ჩაღვრა, თუმცა, შეიძლება ზალპური ჩაშვებაც ეწოდოს. ეს არ იყო დაგეგმილი ჩაშვება. როგორც წესი, კომპანიას უდგინდება ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივი. აღნიშნული ნორმატივის დაცვა საწარმოსთვის სავალდებულოა. იგი ვალდებულია გაწმინდოს დაბინძურებული წყალი და ისე ჩაუშვას ზედაპირული წყლის ობიექტში და აკონტროლოს, რათა მდინარეში არ მოხვდეს დასაშვებ კონცენტრაციაზე მეტი მავნე ნივთიერება.

**– თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შედიოდა იმის გამოკვლევა, როგორ ჩაიღვარა ამდენი სითხე მდინარეში?**

– ჩვენ შესწავლა განვახორციელეთ მხოლოდ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში.

**– ჩემი ინფორმაციით, ჩაღვრა ბუნებრივად და შემთხვევით არ მომხდარა.**

– საწარმოს ტერიტორიაზე, იმის საფუძველზე, რაც ვიზუალურად დავათვალიერეთ, შემიძლია, გითხრათ, რომ რეზერვუარს ჩამკეტი აქვს და ის ვიღაცამ უნდა მოუშვას, ან ტექნოგენური ავარია უნდა მოხდეს, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ავარიული ჩაღვრა. გამოძიება დაადგენს, რეზერვუარიდან მდინარეში კარიერული წყლების ჩაშვება როგორ და რატომ მოხდა.

**– მსგავსი ხომ არ მომხდარა, ბოლო წლების განმავლობაში?**

– მსგავსი ფაქტი დაახლოებით სამი წლის წინათ მოხდა.

**– იმავე კომპანიაში, იმავე ფორმით?**

– დიახ, ოღონდ მაშინ გარემოს დაცვის სამინისტროში საგამოძიებო დეპარტამენტი არსებობდა და მასალები სწორედ ამ საგამოძიებო ორგანოს გადაეცა. ამის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა, ეს სამწუხაროდ, არ ვიცი.

**– ანუ თქვენ მასალებს შესაბამის უწყებაში, ან ორგანოში აგზავნით და თქვენი აქტიურობა ამით ამოიწურება?**

– დიახ. ამავდროულად, 27 თებერვალს დაირღვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობები, რის გამოც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სასამართლოს გადაეგზავნა.

ჩვენი დეპარტამენტი საწარმოს შემოწმებას გეგმავდა, მაგრამ ვინაიდან გაფიცვა მიმდინარეობდა და საწარმო პარალიზებული იყო, შემოწმების შედეგად ნათელ სურათს ვერ მივიღებდით. ახლა საწარმო ამუშავებულია. ჩვენ ვგეგმავთ შევიდეთ “არემჯი კუპერის“ გამამდიდრებელ საწარმოში და შევამოწმოთ როგორ ასრულებენ ისინი გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილ პირობებს.

**– ეს გეგმიური შემოწმება იქნება?**

– ეს არაგეგმიური შემოწმება იქნება, რაც დიდწილად განაპირობა 27 თებერვლის ფაქტმა.

**ნინო მიქიაშვილი,**
**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“**

ალიან-ჩალიანი

## ტუვალუმ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება უკან წაიღო

**ამის შესახებ ტუვალუს სამთავრობო დელეგაციის საქართველოში სტუმრობის ფარგლებში გახდა ცნობილი, რომელმაც ქართულ მხარესთან ქვეყნებს შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმი გააფორმა. უფრო კონკრეტულად, ოქმს ტუვალუს მხრიდან ხელი გარემოს დაცვის, საგარეო საქმეთა, შრომის და ვაჭრობის მინისტრმა ტაუკელინა ფინიკასომ, ხოლო საქართველოს მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მოაწერეს.**

**ოქმის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს განავითარებენ სუვერენული თანასწორობის, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. ოქმში ხაზგასმულია, რომ ტუვალუ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი რეგიონების – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით.**

**აღნიშნული ფაქტით ტუვალუ უარყოფს 2011 წელს, აღიარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას და ცალსახად ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას, საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემას.**

**ინტერპრესი**


# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ცომაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, მე-8 სართული, ბინა №22, 79.18კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 04.01.02.845.01.022);
2. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. **უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 4319.88 ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 172,79 ლარი;
4. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 25 აპრილს, 16:00 საათი;
5. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
6. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ცომაია (პირადი №42001027910), მისამართი: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, ბინა №22;
7. **მოვალე:** გიორგი ცომაია (პირადი №42001027910), მისამართი: ქ. ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №150, ბინა №22;
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

***ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 25 აპრილის, 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.***

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 31 მარტის №43 ბრძანების დანართი

# ინფორმაცია

## თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:**

| რიგის N | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | მიწის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილეობის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N1 | ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 76 | 53.20.37.337 | 11400 | 3420 | 114 | 100 |
| N2 | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 645 | 53.08.37.121 | 6450 | 1935 | 645 | 100 |

**საუქციონო პირობები:**

**ა) ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდეს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში;**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია, მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მეორე დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 08 აპრილამდე ყოველ სამუშაო დღეს $10^{00}$-დან $17^{00}$ სთ-მდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს, $10^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 08 აპრილს $16^{00}$ საათზე (ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16 ).

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85VT2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი"-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.

გ) მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16. II სართული, ტელ: 27-13-35.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**დიმიტრი ბოჭორიძე**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 31 მარტის №44 ბრძანების დანართი

# ინფორმაცია

## თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:**

| რიგის N | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | მიწის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილეობის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N1 | ქ. თელავში, სააკაძის ქუჩაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა (საზოგადოებრივი საპირფარეშო), გაშენების ფართით 78 კვ.მ. | 106 | 53.20.37.253 | 19410 | 5823 | 1941 | 100 |

**საუქციონო პირობები:**

**ა) შენარჩუნებულ იქნეს ობიექტის პროფილი (საზოგადოებრივი საპირფარეშო);**
**ბ) მყიდველმა უზრუნველყოს ობიექტის კეთილმოწყობა;**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მეორე დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 08 აპრილამდე ყოველ სამუშაო დღეს $10^{00}$-დან $17^{00}$ სთ-მდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს, $10^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 08 აპრილს $15^{00}$ საათზე (ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16 ).

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85VT2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი"-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.

გ) მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16. II სართული, ტელ: 27-13-35.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**დიმიტრი ბოჭორიძე**

ალიან-ჩალიანი

## ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ახალი რეისები შესრულდება

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს. მათივე ინფორმაციით, 31 მარტს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმსხვილესმა დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანია WIZZ AIR-მა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ვილნიუსის მიმართულებით პირველი რეისი განახორციელა. შესრულდა კიდევ ერთი რეისი ევროპის გეოგრაფიული ცენტრიდან – ვილნიუსიდან.

ახალი რეისის დანიშვნასთან დაკავშირებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ბრიფინგი გამართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ, დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისი განცხადებით, 2013 წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიმდინარეობდა მუშაობა, რომ ქუთაისის აეროპორტს ახალი რეისები დამატებოდა.

– 2012 წლის 27 სექტემბერს აეროპორტი გაიხსნა ძალიან ნაჩქარევად, შესაბამისად მთელი 2013 წლის განმავლობაში ჩვენ ხელისუფლებას ყოველდღიურად მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ აეროპორტს ნორმალური მუშაობა გაეწია: გამოიყო დამატებით 20 მილიონ ლარამდე ინვესტიცია, დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, გასტუმრებულ იქნა კრედიტორული დავალიანება. ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ იმას, რომ ქუთაისის აეროპორტი იყოს წარმატებული, სერვისები კი - მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. ჩვენი მეშვეობით და მეოხებით დღეს ქუთაისის აეროპორტში ყველა პირობაა შექმნილი, რათა სრულფასოვნად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოემსახუროს მგზავრებსა და ავიაკომპანიებს, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ 2013–2014 წლებში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასაქმებულთა რაოდენობა 100%-ზე მეტით გაიზარდა.

2012 წლის 27 სექტემბრიდან დღემდე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 228 150 მგზავრს და 2198 რეისს. მათ შორის, 2014 წლის 1 იანვრიდან 30 მარტის ჩათვლით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მოემსახურა 50 997 მგზავრს და 246 რეისს.

– სადღეისოდ, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეგულარული რეისები სრულდება შემდეგი მიმართულებებით: კიევი, ხარკოვი, დონეცკი, ვარშავა, კატოვიცე, მოსკოვი, მინსკი, თელავივი. გარდა ამისა, აეროპორტი ასევე ემსახურება კერძო ჩარტერებს და ბიზნეს ჯეტებს. ზაფხულის სეზონიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაიწყება ახალი მიმართულებები: ლვოვი (მაისიდან) და ბუდაპეშტი (სექტემბერიდან).

⊙ კომპეტენტური აზრი



# რუსეთმა უკრაინაში სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგებსაც, ალბათ, სახელმძღვანელოებში შეიტანენ

(მეოთხე გვერდიდან) **— უკრაინა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია, თითქოს ინფორმაციის ნაკლებობა არ არის, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე ბევრი რამ მაინც გაუგებარი რჩება. თქვენ როგორ დაახასიათებდით ყოველივე იმას, რაც ახლა უკრაინაში ხდება? და კიდევ, 25 მაისისათვის დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის დასახელებულ კანდიდატთაგან გამარჯვების ვის რა შანსები აქვს?**

— უკრაინაში, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობს არსებული ხელისუფლების ლეგიტიმიზაცია. უზენაესი რადა, როგორც ქვეყნის მთავარი სახელისუფლო ცენტრი, რომლის უფლებამოსილება თვით კრემლისთვისაც ცხადია, კონტრრევოლუციასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით ახორციელებს საკადრო ცვლილებებს, დამკვრელური ტემპით ღებულობს ანტიკორუფციულ, ანუ ევროპულ კანონებს, ხოლო მთავრობას ამ კანონებზე დაყრდნობით დეფოლტის პირას მდგარი ქვეყანა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობაში გადაჰყავს.

მიმდინარეობს არმიის სწრაფი ტემპით გადაიარაღება, ეროვნული გვარდიის ფორმირება, საზღვრების გამაგრება-განმტკიცება. განსაკუთრებული ზრუნვის და კონტროლის საგანია ყირიმიდან იმ სამხედრო ნაწილების გამოყვანა და ახალ ადგილებზე დისლოცირება, რომლებმაც არ უღალატეს უკრაინას და კვლავაც სამშობლოს სამსახურს აპირებენ.

უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის აზრით, მის ქვეყანას დაუყოვნებლივ სჭირდება ოთხი რამ — 1. ენერგომომარაგების გარანტირება, 2. კორუფციასთან გაძლიერებული ბრძოლა, 3. ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და ევროპა-ამერიკასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაძლიერება..

რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, ჯერჯერობით არსებობს მათი ჩაშლის საკმაოდ დიდი საფრთხე. თუ რუსეთი დაკმაყოფილებული არ არის ყირიმის მიტაცებით, მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციით, საკუთარი მნიშვნელობის დემონსტრაციითა და უკრაინის დაშინებით, ამას შეეცდება.

თუკი ამერიკასთან მიღწეული შეთანხმება (ჩვენ არ შეგვიძლია, განვსაზღვროთ, რაზე შეთანხმდებიან ისინი) რუსეთისთვის მისაღები აღმოჩნდება, მაშინ უკრაინა შეძლებს შინაური მეამბოხეების მოთოკვას და არჩევნებიც დროულად და ექსცესების გარეშე ჩატარდება.

29 მარტს უკრაინის წამყვანმა პარტიებმა ყრილობები ჩაატარეს, სადაც პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატებიც წამოაყენეს. „ბატკივშინას“ უალტერნატივო კანდიდატად დასახელდა იულია ტიმოშენკო, რომელმაც სოფიის მოედანზე შეკრებილ მომხრეებს მისთვის ჩვეული მგზნებარებით მიმართა და ქვეყნის გამთლიანება აღუთქვა. მოულოდნელი გამოდგა პარტია „უდარის“ და პირადად მისი ლიდერის ვიტალი კლიჩკოს გადაწყვეტილება, საპრეზიდენტო არჩევნებში მილიარდერ პეტრო პოროშენკოს დაუჭიროს მხარი, თვითონ კი დედაქალაქის მერობისთვის იბრძოლოს.

ასევე არაორდინარულად დამთავრდა ბოლო დრომდე მმართველი რეგიონების პარტიის ყრილობაც, რომლის დელეგატებმაც თავიანთ კანდიდატად ხარკოვის ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად კი სეპარატიზმის გაღვივებისთვის საშინაო პატიმრობაში მყოფი გენადი დობკინი, მეტსახელად „დეპა“ დაასახელეს. სენსაციად იქცა ისიც, რომ ამავე ყრილობაზე თანაპარტიელების მხოლოდ 15 ხმა მოაგროვა ყოფილმა ვიცე-პრემიერმა სერგეი ტიგიპკომ, რომელიც 2010 წლის არჩევნებში მესამე იყო და მაშინ იულიასგან პრემიერობის შეთავაზება რომ მიეღო, იანუკოვიჩი მარცხდებოდა. საბოლოოდ, პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი საკმაოდ ვრცელია და ეთნიკურად ჭრელი. უკრაინელების გარდა, მათ შორის ვხედავთ ებრაელებს, თათრებს, მოლდოველებს, რუსებს. და ეს ხდება, მიაქციეთ ყურადღება, „ნაციონალისტურ, ბანდერულ“ უკრაინაში.

თუ გამარჯვების შანსზე ვილაპარაკებთ, არ სჭირდება დიდი ანალიტიკოსობა იმას, რომ უმთავრესი კონკურენტები იულია ტიმოშენკო და პოროშენკო არიან. ჩემი აზრით, უკრაინა განწირულია იმისთვის, რომ სწორედ ეს ორი, ჯერ კიდევ „ნარინჯოვანი“ რევოლუციიდან „შეურიგებელი“ მეგობარი გაიყოფს პრეზიდენტისა და პრემიერის ტახტებს. ვერ ვიტყვი, რა ბედი ეწევა არსენი იაცენიუკს, რომელმაც თავის დროზე დათმო საკუთარი პარტია „ცვლილებათა ფრონტი“ და ნებაყოფლობით შეერწყა ტიმოშენკოს „ბატკივშინას“. ეჭვი არ მეპარება, რომ დღეიდანვე ამოქმედდება მძლავრი პიარტექნოლოგიები და დარჩენილი ორი თვის მანძილზე ბევრი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი გავხდებით.

**— შეიძლება ითქვას, რომ კრემლმა დასავლეთთან დაპირისპირებაში თავისი აგრესიული და ირაციონალური ქმედებებით თავისას მიაღწია და თუ სრულად არა, დასავლეთთან ვაჭრობა-ძიძგილაობაში ნაწილობრივ მაინც მოიპოვა პოსტსაბჭოთა სივრცეზე ექსკლუზიურად მოქმედების უფლება?**

— ეს უფლება კრემლს იმთავითვე ჰქონდა მოპოვებული, თუმცა, როგორც ჩანს, ამჟამად მისი ოფიციალურად გაფორმება გადაწყვიტა. ჯერჯერობით უცნობია, სად გაივლის წითელი ხაზი, რომლის იქითაც მსოფლიო თანამეგობრობა მის განუკითხავად თარეშს არ დაუშვებს.

უნდა დაველოდოთ კრიზისის საბოლოოდ მოგვარებას და ყირიმის ანექსიის თუნდაც პირველ შედეგებს. ვნახოთ, რამდენად წამახალისებელი იქნება რუსეთისთვის ამ მეტად კონფლიქტური და სადოტაციო რეგიონის ზურგზე წამოკიდება. ის, რომ ყირიმელმა თათრებმა, როგორც ნახევარკუნძულის ძირეულმა მოსახლეობამ, საკუთარი ავტონომია მოითხოვა და ეს მოთხოვნა გაეროს უშიშროების საბჭოზე გაჟღერდება, გვაფიქრებინებს: ყირიმი, ბიბლიის ენით რომ ვთქვათ, „ამო ტვირთი“ ნამდვილად არ იქნება.

**— თქვენი აზრით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინის საკითხს სათავისოდ გადაწყვეტილად ჩათვლის, შემდეგ საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან არა ფედერაციულ, არამედ კონფედერაციულ მოწყობაზე დათანხმებას შესთავაზებს?**

— პუტინს გულში რა უდევს, არავინ იცის. იგი, როგორც ვხედავთ, იმპულსურად მოქმედებს და ბევრი მისი ნაბიჯი ლოგიკაზე დაყრდნობით ძნელი გასათვლელია. ჯერ ერთი, არ ვარ დარწმუნებული, რომ საერთოდ აპირებს ჩვენთვის რამის შემოთავაზებას. აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც მან უკვე აქცია თავის სამხედრო ბაზებად და ვიდრე არსებობს ნებისმიერი თეორიული შესაძლებლობა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა, მათზე უარს არ იტყვის. თუ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, რაც ნაკლებ დამაჯერებლად მეჩვენება, რუსეთისგან რაიმე სასიკეთო წინადადებას არ უნდა ველოდეთ.

რაც შეეხება ჩვენს ისტორიულ მიწებთან ჩვენსავე კონფედერაციას, მსგავსი ნაბიჯი გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ასეთი ალიანსი მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის შეიძლება გაფორმდეს. და მე აქ, ოდესელებისა არ იყოს, კითხვას კითხვითვე ვუპასუხებდი — არის კი საქართველო მზად, აღიაროს ამ მიწების დამოუკიდებლობა?

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, უკრაინაში განვითარებული პროცესები როგორ აისახება საქართველოზე უახლოეს მომავალში?**

— უკრაინის მოვლენები ჩვენ უნდა აღვიქვათ, როგორც ქართულ ანდაზაშია ნათქვამი — კოკავ, შენ გეუბნებიან და ლიტრავ, შენ გესმოდესო. მიუხედავად იმისა, რომ კოკა უფრო გამძლე მეგონა, წყაროზე გატყდა, ამიტომ ლიტრა ნიადაგ ფხიზლად უნდა იყოს, რათა მასაც იგივე არ დაემართოს.

**კობა ბენდელიანი**

## დედამიწის ზურგზე

**ექსპერტები უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ: კლიჩკო გაიბერა. ახმეტოვმა პარტია ჩააბარა, დანარჩენებს „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტი“ ამოძრავებს**

**მას შემდეგ, რაც რეგიონების პარტიამ მოულოდნელად მხარი დაუჭირა მიხაილ დობკინის კანდიდატურას, ვიტალი კლიჩკომ კი უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე პიოტრ პოროშენკოს სასარგებლოდ, ექსპერტები ძირითად ინტრიგას ხედავენ პოროშენკოს დაპირისპირებაში „ბატკივშინის“ ლიდერთან იულია ტიმოშენკოსთან. გაიმარჯვებს ის, ვისაც მხარს დაუჭერენ სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების მცხოვრებლები.**

* * *

**სენსაციური არჩევნები საფრანგეთში: სოციალისტებმა წააგეს, პარიზის მერმა კი „ქვედატანი ჩაიცვა“**

**საფრანგეთის დედაქალაქის ახალი ხელმძღვანელი, წინასწარი მონაცემებით, პირველად ისტორიაში გახდა ქალი — ქვეყანაში პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის მმართველი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი. სხვა ქალაქებში მემარცხენეებმა პოზიციები მემარჯვენეებს დაუთმეს. მთავრობაში ელოდებიან საკადრო გადაადგილებებს.**

* * *

**რუსეთმა დაიწყო ჯარების გამოყვანა უკრაინის საზღვრიდან, შეამცირა მათი ოდენობა მინიმუმ ოთხჯერ**

**პარიზში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მოლაპარაკების დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, რაც მიძღვნილი იყო უკრაინის პრობლემის მოწესრიგებისთვის, უკრაინაში აღიარეს, რომ რუსეთმა უკვე დაიწყო ჯარების გამოყვანა საზღვრიდან, შეამცირა ისინი მინიმუმ ოთხჯერ — 10 ათას კაცამდე.**

* * *

**თურქეთის პრემიერმა გამოაცხადა მუნიციპალურ არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების შესახებ ისე, რომ ხმების ბოლომდე დათვლას არ დაელოდა**

**მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ხმები ძნელად რომ გავლენას მოახდენენ მთლიანად კენჭისყრის შედეგებზე. თუმცა, ბრძოლა მეგაპოლისებისთვის კვლავ გრძელდება.**

⊙ აქცია-კონცერტი

# „მუსიკა მშვიდობისათვის“ — სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!

**30 მარტს რიყის პარკში აქცია-კონცერტი გაიმართა. „მუსიკა მშვიდობისათვის“ ამ ლოზუნგით აქციაში მონაწილე ქართველი მომღერლები ქუჩაში რუსულ ოკუპაციას აპროტესტებდნენ, ჩვენს მეგობარ უკრაინას თანადგომასა და მხარდაჭერას უცხადებდნენ.**

**კონცერტი ჯგუფმა „რეგიონმა“ გახსნა და აქციის მიზანი, სიმღერით შემოქმედებითად განმარტა: „თავისუფლება დღეს მრავალ ჭირნახულ ერს“.**

**ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს, შემსრულებლებმა ზურა მოსიავამ, რობი კუხიანიძემ, ჯგუფებმა „თბილისმა“, „asteroid“-მა და სხვ.**

**კონცერტი ყველაზე პატარა მონაწილემ, 13 წლის ვირტუოზმა დრამერმა გიორგი კაპანაძემ დაასრულა.**

**როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბექა გელენავამ განაცხადა, რიყის პარკში შეკრების მთავარი მიზანი უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობის გამოცხადება და ამავე დროს საქართველოს, უკრაინისა და მთელი მსოფლიოსთვის მშვიდობის სურვილი იყო.**

**რუსუდან კილასონია,**
**ავტორის ფოტო**









ფარაონ რამზეს II-ის მუმია (ძვ. წ. 1350-1205)

# დაბალზამებული ბელადის ცხოვრება

უკვე 90 წელიწადია რუსეთის ცენტრში, მოსკოვის მთავარ, წითელ მოედანზე, გრანიტის მავზოლეუმში, ღია კუბოში წევს „მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის“ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მუმია.

ეს ეგზოტიკურად მჟღერი სიტყვა „მუმია“, რაც ხრწნისგან დაცულ დაბალზამებულ გვამს გულისხმობს, ძალაუნებურად გახსენებს ძველ ეგვიპტეს, სადაც შორი საუკუნეების წინათ თავიანთ გარდაცვლილ გაღმერთებულ ფარაონებს კი არ მარხავდნენ, არამედ აბალზამებდნენ და ქვის აკლდამებში — პირამიდებში ინახავდნენ მარადიული იმქვეყნიური ცხოვრებისთვის. რამდენჯერ ვმდგარვარ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ეგვიპტურ მუმიასთან, რომლის სახვევებშეხსნილი სახე და იეროგლიფებით დაფარული სარკოფაგი ძალაუნებურად დაგაფიქრებს ყოფიერების ამაოებაზე.

ანსხვავებენ „ბუნებრივ“ და „ხელოვნურ“ მუმიებს. „ბუნებრივია“ ისინი, რომლებიც შეიქმნენ არა ადამიანთა ოსტატობის ძალით, არამედ შემთხვევით, ამა თუ იმ გარემოების წყალობით. მაგალითად, პალერმოს კაპუცინთა მონასტერში, გრან სენ-ბერნარის მონასტერში, ბრემენის ეკლესიის ტყვიის სარდაფსა და კვედლინბერგის სასახლეში ნაპოვნი მშვენივრად შენახული მუმიები. პერუს, მექსიკის, კანარის კუნძულების ხალხები უძველესი დროიდან ინახავდნენ შებოლილ გვამებს.

გავრცელებულია შეხედულება, რომ ეგვიპტელებმა იცოდნენ რომელიღაც სპეციალური ქიმიური საშუალებებით დაბალზამების საიდუმლოება. მაგრამ დღესდღეობით ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი მუმიფიცირების ნამდვილი, ზუსტი და სრული აღწერილობა. როგორც ჩანს, მუმიფიცირების ხელოვნება არაერთხელ შეიცვალა საუკუნეთა მანძილზე. ყველაზე ძველი — მემფისური მუმიები (დღემდე ცნობილი მუმიებიდან უძველესია დედოფალ ხეტერჰერესის მუმია — (ძვ. წ. III ათასწლეული) თითქოს სიშავემდეა გამხმარი და ძალიან მყიფეა, ხოლო ახალი — თებეს მუმიები მოყვითალო ფერისაა, მკრთალად პრიალებს და ხშირად ელასტიკურია. აშკარაა, ამგვარი განსხვავება მხოლოდ იმით არ არის გამოწვეული, რომ ეს მუმიები სხვადასხვა პერიოდისანი არიან.

უძველეს დროში ახერხებდნენ მხოლოდ სხეულის გარეგნული ფორმების შენარჩუნებას. შემდეგ აღმოაჩინეს კანის დანაოჭებისგან დაცვის საშუალებაც. ასე რომ, არსებობს მუმიები, რომლებსაც სახის ნაკვთები შემონახული აქვთ მთელი თავისი ინდივიდუალობით.

მუმიფიცირება ჩვეულებრივ შემდეგნაირად ხდებოდა: ჯერ ტვინი გამოჰქონდათ ცხვირიდან ლითონის კავების საშუალებით, შემდეგ ქვის დანით ჭრიდნენ მუცელს და იღებდნენ შიგნეულობას, რასაც დებდნენ „კანოპაში“ — სპეციალურ ჭურჭელში. იღებდნენ, აგრეთვე, გულს და მის ადგილზე დებდნენ ქვის სკარაბეს. შემდეგ მიცვალებულს გულმოდგინედ ბანდნენ და თვეზე მეტი ხნით დებდნენ მარილის ხსნარში. ამის შემდეგ აშრობდნენ სამოცდაათი დღის განმავლობაში. მიცვალებულს აწვენდნენ პირაღმა, ხელებს უკრეფდნენ მკერდზე, მუცელზე, ხანდახან კი სხეულის გასწვრივ გაჭიმულად უტოვებდნენ. მამაკაცებს თმას უმთავრესად მოკლედ უკრეჭდნენ, ქალებს კი ხშირად ხელუხლებლად უტოვებდნენ. იღლიებსა და ბოქვენზე სულ პარსავდნენ. სიცარიელეს ავსებდნენ თიხით, ქვიშით, ნახერხით, მატყლით. ყველაფერ ამას უმატებდნენ, აგრეთვე, სხვადასხვა სურნელოვან ფისს და რატომღაც — ხახვს. შემდეგ იწყებოდა მუმიისთვის სახვევებისა და ნაჭრების შემოხვევის ხანგრძლივი პროცესი.

მაგრამ რატომ მიმართავდნენ ამ დამღლელ, შრომატევად პროცედურას, რისთვის იყო საჭირო გვამის მუმიფიცირება? ამის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ძველი ეგვიპტელების სარწმუნოების თავისებურებებს გავითვალისწინებთ; იმ შეხედულებებს, რომლებიც მათი სარწმუნოების საფუძველს წარმოადგენდა: სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცხოვრებას აგრძელებს უკვდავების ქვეყანაში, მაგრამ იმქვეყნად ცხოვრება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ამ ქვეყნიდან თან აქვს წაღებული სიცოცხლისთვის ყოველივე აუცილებელი. უპირველეს ყოვლისა, ხელუხლებლად უნდა შემონახულიყო სხეული, ამისთვის კი საჭირო იყო მისი ისე დაცვა, რომ ვერავინ მიკარებოდა.

ეგვიპტელების შეხედულებით, ადამიანის სიკვდილის დროს სხეულს სცილდებოდა სული — „ბა“, რომელიც ნებისმიერად მოძრაობდა სივრცეში და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაბრუნებულიყო სხეულში. ასევე იყო მფარველი სული „კა“, რომელიც სასიცოცხლო ძალას განასახიერებდა. „კა“ ადამიანთან ერთად იბადებოდა, მაგრამ უკვდავი იყო. ამრიგად, საიქიოში ადამიანი ხელახალ ცხოვრებას დაიწყებდა თუ მის სხეულში ისევ დაბრუნდებოდნენ „ბა“ და „კა“. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ სხეული სავსებით დაუზიანებლად იქნებოდა შემონახული.

სწორედ ასეთმა შეხედულებებმა გამოიწვია ორი რამ: სხეულის მუმიფიცირება და აგება აკლდამა-პირამიდებისა, რომლებსაც შიგ ჩამალული მუმიები ყოველგვარი მტრისგან უნდა დაეცვა.

## ასე იქმნებოდა ღმერთი

ამ უგრძესი წინათქმის შემდეგ კვლავ იმას მივუბრუნდეთ, რითიც დავიწყეთ.

ვინც ლენინის მავზოლეუმში ყოფილა, ალბათ, ახსოვს შავი, ღრმა მარმარილოს კიბე, ქვესკნელის მოწითალო შუქი, სარკოფაგი და თითქმის ახალი ცხედარი, რომელიც დიდი ხანია, არავითარ ემოციას აღარ ახდენს (იქნებ მხოლოდ მისტიკურს). მე მავზოლეუმში მინახავს სტალინიც. მას შემდეგ 56 წელიწადი გავიდა და მაინც ვერ ვთავისუფლდები მძიმე შთაბეჭდილებისგან, ან სხვა რა შეიძლებოდა გამოეწვია ერთმანეთის გვერდით მწოლ ორ ცხედარს. შთაბეჭდილება — კი, მაგრამ — არავითარი ემოცია.

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ბიოგრაფია, რომელიც ათადან-ბაბადან მოგვეწოდებოდა როგორც ბოლშევიკური კულტის მითოლოგიური ცხოვრება, გულდასმით გაანალიზდა და ნამდვილი ლენინი უსასრულოდ შორს აღმოჩნდა თითქმის გაღმერთებული იდეალისგან.

„კეთილი ბაბუა“ ყოფილა ზერელედ განათლებული ფანატიკოსი, რომელიც მიზანს მიღწევის საშუალებებში არაფერს წუნობდა. მრავალი რუსი ავტორი ლენინს ხატავს სასტიკ, ცინიკოს პოლიტიკოსად. დღემდე საბოლოოდ არ მოჰფენია ნათელი მის ავადმყოფობასა და სიკვდილს.

ლენინი ახალგაზრდობაში ერთობ სპორტული კაცი იყო — უყვარდა მთებში სიარული, ველოსიპედით სეირნობა, წარმატებით ნადირობდა, შრომის უნარი ფენომენური ჰქონდა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ლენინი სამაგალითოდ ჯანმრთელი არ ყოფილა, თანამედროვენი თავიანთ მოგონებებში აღნიშნავენ წარმოუდგენელი ენერგიის მონაცვლეობას მძიმე მელანქოლიითა და დეპრესიით (მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის ნიშანი). ლენინის ავადმყოფობათა გერმანელმა მკვლევარმა გიუნტერ ჰესემ მიაკვლია მისი უნაყოფობის მიზეზს — სიფილისი და გონორეა. ამ დასკვნის გამაბათილებელი მრავლად არის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ლენინს მკურნალობდნენ დარიშხანის პრეპარატებითა და იოდის ნაერთებით (სწორედ ისინი გამოიყენებოდა მაშინ სიფილისის სამკურნალოდ). გერმანელი ნევროპათოლოგი ო. ფერსტერი და მისი რუსი კოლეგა ნ. კოჟევნიკოვი „არ გამორიცხავდნენ პაციენტის ტვინის სიფილისის ფონზე დაზიანებას“. ვერსიები ასეთია: თავის ტვინის სწრაფი ავთვისებიანი ათეროსკლეროზი, სიფილისის შედეგი.

ვ. ლენინი გარდაიცვალა გორკაში, მოსკოვიდან 35 კილომეტრზე, 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 სთ. 50 წუთზე (გარეთ 35 გრადუსი ყინვა იყო). მეორე დღესვე, დილის 10 საათზე, კრემლში თათბირი შედგა დაკრძალვის ორგანიზაციის საკითხებზე. მანამდე კი, დილის 4 საათზე მოქანდაკე ს. მერკულოვმა მიცვალებულის სახისა და ხელების თაბაშირის ტვიფრები აიღო. იმავე დღეს, 12 საათზე კი პროფესორმა ა. აბრიკოსოვმა ცხედარი პირველად დააბალზამა.

22 იანვარსვე 2 საათსა და 15 წუთზე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმმა დაამტკიცა დაკრძალვის ორგანიზაციის პირველი ღონისძიებები, ხოლო ღამის 3 საათსა და 30 წუთზე შედგა სსრკ-ის საბჭოების ცაკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) სხდომა, რომელზეც აირჩიეს ვ. ლენინის დაკრძალვის საორგანიზაციო კომისია (კ. ვოროშილოვი, ა. ენუქიძე, ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. ავანესოვი და სხვ.) თავმჯდომარედ დაინიშნა ფელიქს ძერჟინსკი.

26 იანვარს გაიხსნა საბჭოების სრულიად საკავშირო II ყრილობა, სადაც მიიღეს ლენინის ცხედრისთვის აკლდამის აგების დადგენილება, აკლდამაში იგულისხმებოდა დაკრძალვის ადგილი და არამც და არამც მავზოლეუმი. გადაწყდა, რომ ლენინის დროებით დაბალზამებული სხეული გამოეყენებინათ მხოლოდ დაკრძალვის პროცედურის ორგანიზებისთვის, რათა მსურველნი მას გამოთხოვებოდნენ. სსრ კავშირის ცაკის 25 იანვრის დადგენილებაშიც მხოლოდ აკლდამაზეა ლაპარაკი. ადგილი ვ. ბონჩ-ბრუევიჩმა შეარჩია).

ამასობაში, 23 იანვარს არქიტექტორმა ალექსი შჩუსევმა დავალებით (ვისი დავალებით?) გააკეთა მავზოლეუმის ესკიზი, უკვე 24 იანვარს პროექტი დამტკიცდა. მავზოლეუმი 4 დღეში აიგო.

სხვათა შორის, როცა პირველ ქვაბულს თხრიდნენ, საკანალიზაციო მილი დააზიანეს და მომავალი სამგლოვიარო დარბაზის ადგილი ფესკალიებმა დაფარა.

ხის პირველ მავზოლეუმს ჰქონდა კუბის ფორმა, რომელსაც სამსაფეხურიანი პირამიდა აგვირგვინებდა. იგი 1924 წლის გაზაფხულამდე იდგა.

25 იანვარს გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ მიღებულია მშრომელთა ათასობით წერილი და ტელეგრამა ვ. ლენინის სხეულის სამარადჟამოდ შენახვის თხოვნით. მაგრამ ეს ამბავი თეთრი ძაფით არის დაბლანდული. წერილები კი იყო, მაგრამ მათში ერთიც არ ერია ასეთი თხოვნით. არქივში ასეთი წერილი არ დევს. ან საიდან, როგორ უნდა მოსვლოდა გვამის მუმიფიცირების იდეა რუსეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას?

უეჭველია, რომ ლენინის სხეულის დაუკრძალავად საუკუნოდ შენახვის აზრი წარმოიშვა ბოლშევიკთა ძალიან ვიწრო წრეში, ჯერ კიდევ... ბელადის გარდაცვალებამდე — 1923 წელს, ხოლო ფართო მასებს იგი მიაწოდეს უკანა რიცხვით, როგორც ამ მასების ინიციატივა.

პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ტროცკი, ბუხარინი, კალინინი, კამენევი და რიკოვი, სტალინმა შეკრებილთ აცნობა, რომ **„ზოგიერთი ამხანაგი პროვინციიდან აყენებს ლენინის სხეულის დაბალზამებისა და მავზოლეუმში მოთავსების წინადადებას“**. ეს განცხადება სწორედაც აქტუალური იყო — ბელადის ჯანმრთელობა სასიკვდილოდ უარესდებოდა და სწრაფი ლეტალური დასასრული სრულიად რეალური პერსპექტივა ჩანდა. მაგრამ პოლიტბიუროს წევრები მზად არ აღმოჩნდნენ საიმისოდ, რომ მოსკოვის ცენტრში აღემართათ ასეთი მასშტაბური განსასვენებელი. კამენევმა დამცინავად ჩაიფრუტუნა „ხუცობაა!“ არც ბუხარინი აღფრთოვანებულა ამ იდეით, ტროცკიმ კი დაბალზამების აზრს სიგიჟე უწოდა.

ლენინის მუმიფიცირების წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად გამოვიდნენ ნ. კრუპსკაია და კ. ვოროშილოვი. ცაკის პრეზიდიუმის მდივანმა აბელ ენუქიძემ ოფიციალურად განაცხადა, არ ვაპირებთ ლენინის სხეულისგან წმინდა ნაწილების შექმნასო. კ. ბონჩ-ბრუევიჩი იგონებს: **1924 წლის 23 იანვარს, დილის 11 საათზე, მე ჩავატარე სპეციალისტების პირველი სხდომა ვლადიმერ ილიას ძის საფლავის მოწყობის თაობაზე. გადაწყვეტილი იყო მისი დაკრძალვა წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან, საფლავზე კი უნდა აშენებულიყო მავზოლეუმი“**. არქიტექტორი ა. შჩუსევი იუწყება, რომ დროებითი მავზოლეუმის დაპროექტების და მშენებლობის დავალება მიიღო 23-24 იანვრის ღამეს. 24 იანვრის დილას(?) კი საესკიზო პროექტი თითქოს დამტკიცებული იყო, თანაც სამთავრობო კომისიის მიერ.

**ალეკო ასლანიშვილი.**

**(გაგრძელება იქნება)**



ეგვიპტური პირამიდები.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ქვემო ალვანის" ქვიშა, ხრეშის (I და II უბანი) საბადო (კატეგორია - B+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 783 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 78,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 357 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 |
| | | კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურაზე „ჭოლაშის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 14 700 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 557 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 255,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 711 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 |
| | | კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №3 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებითა და BP Georgia-ს 2013 წლის 27 დეკემბრის №BTC/OUT/3972/13 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარათაღლას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „რუსთავის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 81 900 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარათაღლას მიმდებარე ტერიტორია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 300 მ$^3$ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №19** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |

| | | |
|---|---|---|
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი აკ. წერეთლის ქ. N192 ნაკვეთი N3-1-3 მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 18 250 მ$^3$ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი აკ. წერეთლის ქ. N192 ნაკვეთი 3-1-3 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 590 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 59 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 318 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №20**

| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
|---|---|---|
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ობიექტის სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოს ჭაბურღილის შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი ზ. გამსახურდიას 45 (ყოფილი რუსთაველის გამზ. N163) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 300 მ$^3$ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი ზ. გამსახურდიას 45 (ყოფილი რუსთაველის გამზ. N163) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 236 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 23,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 247 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №21**

| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
|---|---|---|
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშური, აღმაშენებლის ქ. N30 მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 4 000 მ³ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური აღმაშენებლის ქ. N30 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 129 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 12,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 226 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №22** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) ობიექტის დამუშავება განხორციელდეს სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 13 თებერვლის №2-03/783 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | | ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის მიმდებარე ტერიტორია, „ეკლარის" კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 5 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოგნარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №23** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. დობერაზენის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 45 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. დობერაზენის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 552 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 655,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 510 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 1 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 მაისს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

**2014 წლის 28 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის ობიექტ №45-ში (მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლებაჩეს მიმდებარე ტერიტორია, „ლებაჩეს" კირქვის (სალორღე) გამოვლინება) გაიპარა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობის – 143 769 მ³-ს ნაცვლად მითითებული უნდა ყოფილიყო – 53 000 მ³.**

**2014 წლის 29 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის ობიექტ №3-ში სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუხუთის მიმდებარე ტერიტორიის ნაცვლად მითითებული უნდა ყოფილიყო ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საგვიჩიოს მიმდებარე ტერიტორია.**

ძიუდო



# ქართული „ჰეთ-თრიქი“

**ისე როგორ შეიძლებოდა, თურქულ სამსუნში გამართულ იქაურ გრან-პრიზე ტატამის ქართველ ოსტატებს არ „გაესროლათ“.**

მართლაც, დასკვნით დღეს მოსახდენი მაინც მოხდა: 90 კგ-ში მოასპარეზე ბექა ღვინიაშვილმა ზედიზედ ხუთი მეტოქე დააიპონა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო მძიმეწონოსნებს ადამ ოქრუაშვილსა და ლევან მატიაშვილს, შესაბამისად, „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ ხვდათ წილად.

გრან-პრის სერიის მორიგ ტურნირს მაისში ბაქო უმასპინძლებს.

**კობა კობახიძე**

ტყვიის სროლა



# „ოქროს“ სადარი „ვერცხლი“

**ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ჯილდოების უმდიდრეს კოლექციას ამერიკაში დასრულებული მსოფლიოს თასის გათამაშების ვერცხლის მედალი შეემატა.**

ჩვენი სწორუპოვარი თანამემამულე პირველი დღის შემდეგ მერვე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა, ფინიშზე სამიზნე გაისწორა და მხოლოდ შვეიცარიელ ბერგერს ჩამორჩა.

**ბეჟან დოლიძე**

ჩოგბურთი

# ფედერერის ნაკვალევზე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი ლეგენდარული შვეიცარიელის როჯერ ფედერერის შემდეგ მეორე ჩოგბურთელია, ვინც ერთი სეზონის განმავლობაში ინდიან უელსისა და მაიამის მასტერზები მეორედ მოიგო (პირველად — 2011 წელს).**

ფინალში სერბმა საკმაოდ იოლად — 6:3, 6:3 დააჩოქა რეიტინგის პირველი ნომერი რაფაელ ნადალი და კარიერაში 43-ე ტიტული მოიპოვა, თუმცა, ესპანელთან პირად შეხვედრებში მაინც მარცხდება — 18:22.

**მანუჩარ გიორგაძე**



კალათბურთი

# გაზაფხულმა ქუთაისიც დაამშვენა

**როგორც იქნა, კალათბურთის ვარსკვლავთა სამჭედლოსაც ეწვია ზეიმი. დიახ, ქუთაისელებზე მოგახსენებთ, რომლებმაც მეორედ ითამაშეს ეროვნული თასის გათამაშების ფინალში და „სოხუმის“ ძლევით — 81:66 პირველად მოიპოვეს პრესტიჟული ჯილდო.**

გულშემატკივარი კარგადაა ინფორმირებული ზღვისპირელთა ფინანსურ პრობლემებზე, რამაც ამას წინათ საერთოდ სათუო გახადა დევნილთა კლუბის არსებობა. მართალია, ამ ეტაპზე მაინც, ვაჟა კვარაცხელიას შეგირდები სუპერლიგის ეგიდით მიმდინარე ტურნირებს დაუბრუნდნენ, მაგრამ უპატრონობამ და შიმშილმა შესვენების შემდეგ იჩინა თავი.

**„ქუთაისი“ — „სოხუმი“ 81:66 (32:34).**

შეხვედრის ოქმიდანაც კარგად ჩანს, რომ სატიტულო ბრძოლის პირველი ნახევარი ქადარიას, ჩლაიძის, სიმონსისა და ბააკაშვილის ძალისხმევით სოხუმელთა „ძლევაი საკვირველით“ დასრულდა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ რიონისპირელები კარგა გვარიანად დაალალატეს მისმა სნაიპერებმა, რომლებმაც ღირსეულად ვერ აუბეს მხარი ფარქვეშ წარმატებით მოასპარეზე დვალიშვილს.



ზაურ კოხრეიძისა და მედეა მხეიძის გუნდისათვის საბედნიეროდ, შესვენების შემდეგ ძმები ბარბაქაძეები, ფაშაევი და ცეკვავა ჩვეულად აბურთავდნენ, მძიმე არტილერიის ამოქმედებამ კი მატჩის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. არადა, პირველ ტაიმში მომავალმა ტრიუმფატორებმა 16-დან მხოლოდ ერთი (დიდია) სამქულიანი ჩააგდეს.

**აქვე გაგაცნობთ წინა თერთმეტი სათასო ბატალიების გამარჯვებულთა ვინაობას:** „თბილავიამშენი“, „არმია“ (2-2), „ბასკო“, „დინამო“, სტუ, თსუ, „ენერჯი ინვესტი“, „აგრარული“, შსს აკადემია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# შაბათ-კვირის მოზაიკა

**თბილისის „დინამომ“, პრაქტიკულად, ფინიშამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდა საქართველოს ჩემპიონობა.**

ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც „თეთრ-ლურჯებ-




მა“ მეორე ეტაპის XXIV ტურში საკუთარ მინდორზე უახლოესი მდევარი „ზესტაფონი“ დაამარცხეს — 1:0 (მარცვალაძე).

მათ შორის არსებული 11-ქულიანი განსხვავების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა უკვე ცნობილია, თუმცა, ვინ იცის...

* * *

**უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ჯაბა კანკავამ არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის სიცოცხლე იხსნა.**

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა“ და კიევის „დინამოს“ ცენტრალური მატჩის 22-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე ბოიკომ ბურთისათვის ბრძოლაში სტუმართა ფორვარდ გუსევს თავში მუხლი უთავაზა და გათიშა.

მოგეხსენებათ, ენის გადაყლაპვა ლეტალური შედეგით სრულდება, თუმცა, ამჯერად ჩვენმა თანამემამულემ იყოჩაღა და საქმე აქამდე აღარ მისულა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ ანალოგიური ფაქტი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზეც მოხდა, სადაც დავით სირაძემ ლევან მჭედლიძე გადაარჩინა. ეტყობა, კანკავას მაშინდელი გამოცდილება გამოადგა.

* * *

**როგორც ჩანს, ვნებები ერთი შეხედვით წყნარ ჩრდილოეთშიც დუღს და გადმოდუღს. სხვაგვარად ძნელია აიხსნას შვედეთის ჩემპიონატში „ჰელსინბორგსა“ და „იურგორდენს“ შორის შეხვედრის წინ, მსვლელობისას და შემდეგ განვითარებული მოვლენები.**

ერთი დაღუპული და ოთხი დაშავებული — ასეთია მეტოქეთა ქომაგებს შორის ატეხილი ჩხუბის ტრაგიკული შედეგი.

* * *

**იტალია.** „ნაპოლი“ — „იუვენტუსი“ 2:0, „სასუოლო — „რომა“ 0:2, „სამპდორია“ — „ფიორენტინა“ 0:0, „მილანი“ — „კიევო“ 3:0, „ლაციო“ — „პარმა“ 3:2.



**ესპანეთი.** „ესპანიოლი“ — „ბარსელონა“ 0:1, „რეალი“ — „რაიო ვალეკანო“ 5:0, „ბილბაო“ — „ატლეტიკო“ 1:2, „ვილიარეალი“ — „ელჩე“ 1:1, „ვალენსია“ — „ხეტაფე“ 1:3.

**ინგლისი.** „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“ 4:0, „არსენალი“ — „სიტი“ 1:1, „მანჩესტერი“ — „ასტონ ვილა“ 4:1, „ფულჰემი“ — „ევერტონი“ 1:3, „კრისტალ პალასი“ — „ჩელსი“ 1:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰოფენჰაიმი“ 3:3, „შტუტგარტი“ — „ბორუსია“ 2:3, „შალკე“ — „ჰერტა“ 2:0, „ლევერკუზენი“ — „ბრაუნშვაიგი“ 1:1, „გლადბახი“ — „ჰამბურგი“ 3:1.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ვივიანა ფიგუერედო – პარაგვაული „მკერდმოშიშვლებიზმის“ მომავალი

**ცნობილ პარაგვაელ მოდელსა და მკერდმომშიშვლებელს ლარისა რიკელმეს უკანასკნელ პერიოდში ლათინურ ამერიკაში იმდენი კონკურენტი გამოუჩნდა, მათი თვლა არ იყო, მაგრამ იმას კი ყველა ნაკლებად წარმოიდგენდა, „დიად ლარისას“ პარაგვაიშივე თუ „გაუბედავდნენ“ კონკურენციას.**

24 წლის პარაგვაელი მოდელი ვივიანა ფიგუერედო თავის ქეყანაში თანდათან უფრო იმყარებს პოზიციებს და აცხადებს, რომ პარაგვაის საფეხბურთო ნაკრები ლარისაზე არანაკლებად უყვარს და გახდაზე თუ მიდგა საქმე, ისე გაიხდის, წარბიც კი არ შეუტოკდება და ბარძაყიც კი არ უთანთალდება.

ასეთმა მძლავრმა და შემტევმა კონკურენციამ რა განწყობაზე შეიძლება დააყენოს ლარისა რიკელმე, რთული მისახვედრი, ალბათ, არ უნდა იყოს, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და, ადრე თუ გვიან, ალბათ, ყველა მაისის ენძელასავით მიმჭკნარი ლამაზმანი აღიარებს, რომ გზა ახალგაზრდებს უნდა დაუთმონ!

**როსტომ რაჭველიშვილი**



◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

# ალვასრულოთ ლადო ასათიანის იდეა!



**ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტის ლადო ასათიანის ჩანაწერებში, ერთგან, ასეთ რამეს წაიკითხავთ:**

**„სულმნათნო, მადლი თქვენს გამჩენს, დიდება ერსა, თქვენს მშობელს!“ — ეს სიტყვები უნდა წაეწეროს ილიასა და აკაკის ერთობლივ ძეგლს, თუკი ოდესმე დაიდგმება ასეთი“.**

მოგვიანებით, 1958 წელს, როდესაც ლადო ასათიანი უკვე ცოცხალი აღარ იყო, მოქანდაკეების — **ვალენტინ თოფურიძისა** და **შოთა მიქატაძის** ავტორობით (არქიტექტორი **გიორგი მელქაძე**), თბილისში, კლასიკური გიმნაზიის ეზოში, მართლაც აღიმართა ილიასა და აკაკის ძეგლი, ქვეყანას გვინახავს, გვერდიგვერდ რომ დგანან ისინი და რუსთაველის გამზირსა და ქაშუეთის ეკლესიას გაჰყურებენ.

ჰოდა, ჩემი აზრით (მჯერა, ბევრი დამეთანხმება), არ იქნება ურიგო, თუკი, თუნდაც გვიან 56 წლის შემდეგ, ლამაზი შრიფტით წავაწეროთ ძეგლის პოსტამენტს: **„სულმნათნო, მადლი თქვენს გამჩენს, დიდება ერსა, თქვენს მშობელს!“** ამ ძეგლის გარშემო ხომ, მთელი დღე, მოსწავლე-ახალგაზრდობა მიდი-მოდის და ამგვარი წარწერაც, უდავოდ, მიესალბუნება მათ სულს, გაუმძაფრებს მათ სასიკეთო გრძნობებს და იმაზეც დააფიქრებს, რა მამულიშვილების შთამომავლები არიან.

მაშ, რაღა უდგას წინ? ალვასრულოთ დიდი ლადო ასათიანის ნაფიქრალ-ნააზრევი დედაქალაქის მერიის მესვეურნო! აბა, თქვენ იცით!..



# სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

**დასტურ** რომ ასეა: დღე არ გავა, სამეგობროში — უფროსი ასაკის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მეტადრე, მწერლებმა, ჟურნალისტებმა... რაღაც ვარიანტში არ ახსენონ **ზაურ ბოლქვაძე** — უნიჭიერესი პოეტი, უბადლო იუმორით მადლცხებული კაცი, რომელიც 1997 წლის 23 ივნისს 64 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან... ხვალ, 2 აპრილს იგი 81 წლისა გახდებოდა.

ვახსენებთ, თუ, მაგალითად, პატრიოტულ პოეზიაზე ჩამოვარდება სიტყვა:

**„შენი მკვიდრი მიწა-წყალი,**
**ახატია სხვათა რუკებს,**
**წარიტაცა ზოგმა ძალით,**
**ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს“.**

ვახსენებთ, რა თქმა უნდა, თუ მისი საფიცარი ქალიშვილის, სახელოვანი პიანისტის ელისო ბოლქვაძის ახალ წარმატებას შევიტყობთ.

ვახსენებთ, მისი ფრთიანი, მახვილგონივრული სალექსო სტრიქონების მოშველიებისას, მაგალითად, მიხეილ მესხზე:

**„ქარი ვარ ველზე გაჭრილი,**
**და აბოდები მაბოდებს,**
**ჯერ აბოდს ვლოცავ, მერე ბურთს,**
**ჯერ ბურთს და მერე აბოდებს.**
**არც გარინჩა ვარ, არც პელე,**
**არც მოყმე ვეფხვის ნატორი,**
**ვარ ვინმე მესხის მელექსე,**
**ბურთის პოემის ავტორი“.**

ვახსენებთ, როდესაც გასული საუკუნის გამორჩეული კალმის ოსტატობის, „სამოციანელების“ შემოქმედებაზე ვსაუბრობთ... ვახსენებთ სუფრასთან, რადგან ზაურ ბოლქვაძეს, პურ-მარილზე, სულ სხვა ლაზათი შემოჰქონდა...

**— ლომო!..**

— ეძახდა იგი ნაცნობ-მეგობრებს სიკეთისა და სიყვარულის ნიშნად!

**— ლომო!..**

ეძახდნენ ნაცნობ-მეგობრები, ანუ სიყვარულზე სიყვარულით პასუხობდნენ. ამ ერთი სიტყვით შუქი, სიწრფელე, სიხალისე შემოჰქონდა ზაურ ბოლქვაძეს ქართული მწერლობის კასტებად დაყოფილ დიდ ოჯახში, მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის — „ნიანგის“ ვერც ერთ ნომერს ვერ გადაშლიდით, რომ შიგ ლექსად თქმული, კეთილი იუმორით გამთბარი სტრიქონები არ შეგხვედროდათ ზაურ ბოლქვაძისა („ბათუ მელიასი“). ეს სტრიქონები ეძღვნებოდა მეგობარ მწერლებს, ხელოვნების, კულტურის, სპორტის გამოჩენილ მოღვაწეთ, ყველას, ვინც საქართველოს სასიკეთოდ ოდნავ მაინც გარჯილიყო. გულის სითბოს უშურველად გასცემდა ზაური, ჰიპერბოლას არავის აკლებდა... იქნებ ამადაც შეაგება სულმნათმა ნოდარ დუმბაძემ — მისმა მოძღვარმა და სულიერმა ძმამ:



**„ხარ უკვდავების მთესველი**
**და სხვათა უკვდამყოფელი!**
**თუ კაცი ლომი არ არის,**
**გასტანჯავს წუთისოფელი!“**

ბოლო ხანს ვერ იყო კარგად, აფხაზეთის დაკარგვის, საქართველოს ბედუკუღმართობის გამო დარდი მოსძალებოდა... გადაჰყვა კიდეც იმ დარდსა და სატკივარს. ერთი საოცარი ლექსი აქვს ზაურს — გარდაცვლილ მეგობარს ეძღვნება — სულ ერთსტროფიანი, ტკივილიანი ლექსი:

**„გადაუარა ბალახმა**
**საფლავს — სიცოცხლის წერტილს,**
**შენ ჩემთვის, როგორ არა ხარ,**
**მე აღარა ვარ შენთვის!“**

ჰაი, ჰაი, რომ ჩვენ მართლაც აღარ ვართ შენთვის! შენ კი ყოველთვის იქნები, ჩვენს შორის, როგორც ცოცხალი, სანამ პირში სული გვიდგას და ვარსებობთ.

შენს სიცოცხლეს გაუმარჯოს სიკვდილის შემდეგ!

# ბუნება მბრძანებელია!

**გასულ შაბათ-კვირას ნამეტანი ქნა მარტმა — წასვლის წინ, რომ იტყვიან, „კუდი მოიქნია“ და ერთიანად „გადაუარა“ იმერ-ამერს — ზოგან თოვლი და ყინვა, ზოგან ძლიერი ქარი-წვიმა... რა თქმა უნდა, ჩამოაცვინა, ზოგან კიდეც მიაყინა ნუშის, ტყემლის, ატმის რტოებს გულის გასახარად და თვალის სასიამოვნოდ გაშლილ-გაფურჩქნული ყვავილი.**

ფანჯრიდან გავყურებ ქუჩის მეორე მხარეს, ტროტუარის კიდეზე ლამაზად წამომართულ ნაცნობ ატმის ხეს. სადღაა მისი მშვენიერება, გამვლელ-გამომვლელთა აღტაცებას რომ იწვევდა ყოველ გაზაფხულზე!.. ერთიანად დასცვენია ყვავილი, ნაბრძოლი ჩანს წუხანდელ ქარიშხალთან...

იქნებ, სწორედ ასეთი რტოებგაძარცვული დაინახა ატმის ხე თავის დროზე გენიალურმა გალაკტიონმა? **„ატმის რტოო, დაღალულო რტოო, ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი“...** — ათქმევინა გაძარცვული მშვენიერების შემყურე პოეტს...

რა შეუძლია განრისხებული ბუნების წინააღმდეგ, თითქოსდა, ყველაფრის მძლეველ ადამიანს?.. არაფერიც... მხოლოდღა თანაგრძნობა: **„თუ გადარჩი, ხომ გადარჩი კარგი... ატმის რტოო, დაღალულო რტოო“...** რამეთუ, **„ბუნება ბრძანებელია“!** — გვასწავლის გენიალური ვაჟა და, იძულებული ხარ, დაეთანხმო.

**ვილენ მარდალეიშვილი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თამრიკო და ნინო კაციტაძეებს დედის**

**იზოლდა კაციტაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

**ლევან მახვილაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექცია და უცხო ენების კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება პედაგოგ მანანა კანდელაკის მეუღლის**

**თენგიზ ჩაჩუას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

---

**სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის ნოდარ შოშიტაშვილის შვილის**

**გივი შოშიტაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P130413**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP-4/CW/NCB-01**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **E-60 ავტომაგისტრალზე მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი მცირე მაშტაბის ღონისძიებები (II ეტაპი)**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **6 თვე**

შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

**შეფასებული კომპანია:**

დასახელება: შ.პ.ს. “საგზაო სამშენებლო სამმართველო №1”

მისამართი: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ.

ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 1,800,578.68 ლარი

სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 1,800,578.68 ლარი

**გამარჯვებული კომპანია:**

დასახელება: შ.პ.ს. “საგზაო სამშენებლო სამმართველო №1”

მისამართი: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ.

ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 1,800,578.68 ლარი

სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 1,800,578.68 ლარი

საკონტრაქტო ღირებულება: 1,800,578.68 ლარი

## Contract Award Notification

Project Name: **Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: **EWHIP-4/CW/NCB-01**

Scope of Contract: **Small Scale Road Safety Improvements Along E-60 Highway, Stage II**

Duration of Contract: **6 months**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

**Evaluated Bidder:**

Name: “Roads Construction Administration No1” Ltd

Address: Shindisi road 2 km, Gori 1400, Georgia

Bid price at bid opening: 1,800,578.68 GEL

Evaluated bid price: 1,800,578.68 GEL

**Awarded Bidder:**

Name: “Roads Construction Administration No1” Ltd

Address: Shindisi road 2 km, Gori 1400, Georgia

Bid price at bid opening: 1,800,578.68 GEL

Evaluated bid price: 1,800,578.68 GEL

Contract Price: 1,800,578.68 GEL

## ◉ გაზაფხული ჩვენს ფანჯრებში

# აპრილი



ათქვირებულა თეთრად აპრილი,
მკერდგაღეღილი აკვირტებულა,
მზემონატრული, ზამთარს გაყრილი,
ზღვა სიყვარულად აზვირთებულა.

როგორ გელოდო, როგორ მინდოდი,
და თუ გავწამდი უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ.

მოდი, დავიწყოთ ისევ თავიდან,
რადგან სიცოცხლის ჯვარი სწერია,
ბევრი აპრილი ისევ გავიდა,
რომ სიყვარულით არ მიმღერია.

ეს გაუმარჯოს შენს გაღიმებას,
როგორც განთიადს გაზაფხულისა,
ეს გაუმარჯოს აპრილის ვნებას,
როგორც ტკივილს და ტრფობას გულისა.

როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი
გელოდი ჩუმად, უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
ვერც შენ გაძლებდი უსიყვარულოდ.

მკერდგაღეღილი თეთრი აპრილი,
აკვირტებულა, ათქვირებულა,
მზედაკოცნილი, ცვარნამდაყრილი,
ლამაზის ცრემლად ატირებულა.

შენი ეშხია მე რომ მამღერებს,
და ეს ტრფიალი არ მინელდება,
რა დააბერებს გულს ანამღერებს,
ჩემი აპრილიც არ დაბერდება.

ისე ქათქათა პატარძალია,
ზამთრისთვის როგორ გამემეტება,
მისი ბრალია, მისი ბრალია,
თუ სიყვარულად დამებედება.

**გურამ ჭავჭანიძე**

## ◉ ჩვენი კარაბადინი

# მკურნალი წინდები




**გულის** სისხლძარღვთა დაავადებას ან დიაბეტს უჩივით? მაშინ თქვენთვის მისწრებაა სპეციალური, გაზრდილი სამკურნალო ეფექტის მქონე, სხვებისგან მაღალი ხარისხით გამორჩეული თურქული წარმოების წინდები. სურვილის შემთხვევაში მიიღება შეკვეთები მათი ვერცხლის ძაფით მოქსოვილძირიან ნიმუშებზე (სათანადო ფასთა სხვაობით).

**სამკურნალო დანიშნულება:**

1. ფეხები მუდმივად გექნებათ სანიტარიულად დაცული.
2. წინდებს კოჟრებისა და სოკოვანი დაავადებების, სუნისა და ოფლის საწინააღმდეგო მოქმედება აქვს.
3. მათი მოხმარება რეკომენდებულია მათთვის, ვისაც ფეხზე დგომა დიდი ხნის მანძილზე უწევს.
4. ქსოვილი საგანგებოდ დამუშავებული ბამბის ძაფითაა ნაქსოვი.

პროდუქციის დილერი: შპს „ნუგო“, მისამართი: პაოლო იაშვილის ქ. №23. ტელ. 299.04.44
მობ: 555 555 790.

## ◉ ინფორმაცია

### დააკავეს იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული გიგო ძ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 30 საბრძოლო ვაზნით, ასევე, 5 ხელყუმბარა და 5 ფალია ამოიღეს.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

— ნუ ჩქარობ, სექსი მხოლოდ ქორწინების შემდეგ იქნება!
— კარგი, როცა გათხოვდები, დამირეკე.

* * *

— **ბოლოს** და ბოლოს, როგორც იქნა, გავიღვიძე მაღვიძარას მეშვეობით.
— რაო, გაიგე ზარის ხმა?
— არა, ცოლმა მაღვიძარა თავში ჩამცხო!

* * *

**კლიენტი** ათვალიერებს ჭიქას, რომელშიც კონიაკი ძლივს ფარავს სასმურის ფსკერს.
— მე ხომ გთხოვეთ 50 გრამი კონიაკი, თქვენ კი რა მომიტანეთ?
— მაპატიეთ, მე მეგონა, რომ 50 ლარის კონიაკი შემიკვეთეთ. ახლავე მოგიტანთ უფრო მეტს.
— არა! ესეც საკმარისია!!!



* * *

**ტაქსში** სამი მთვრალი ახალგაზრდა ჩაჯდა. მძღოლმა შენიშნა, რომ სამთავენი მოთავებულნი იყვნენ და მათი მოტყუება გადაწყვიტა. ძრავა აამუშავა, რამდენჯერმე დაასიგნალა და მანქანა გამორთო.
— მორჩა, ბიჭებო, მოვედით.
ერთმა ბიჭმა მას მადლობა გადაუხადა, მეორემ ფული გაუწოდა, მესამემ კი სილა გააწნა.
მძღოლმა იფიქრა, მიმიხვდაო, მაგრამ მაინც ჰკითხა: — რატომ?
— იმიტომ, რომ სხვა დროსაც ასეთი სიჩქარით არ იჭენაო. გამოვიდა ესეც შუმახერი!

## ◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### რა შემთხვევაში წავა მარგველაშვილი ოპოზიციაში

**საზოგადოებრივი** კომუნიკაციების კვლევისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის, ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას აზრით, „ეს შესაძლოა, დაახლოებით ისეთი მოდელი იყოს, როგორც „შევარდნაძე“-„აბაშიძის“ მოდელი. ჩვენ გვახსოვს, ისინი მუდმივი „მოქიშპეები“ ჩანდნენ, მაგრამ საბოლოოდ ერთ „ნავში“ აღმოჩნდნენ. თუ მარგველაშვილი ამგვარი ხელოვნური ოპოზიცია გახდება, ივანიშვილის ძალაუფლების ფილიალის კუთხით, მაშინ საუბარია იმაზე, რომ მის გუნდში შეიძლება გაერთიანდნენ „რესპუბლიკელები“, „ალასანიას გუნდი“ და ა. შ. ამ შემთხვევაში მოხერხდება ის, რომ ღარიბაშვილის წინააღმდეგ არსებული ძალები არა ნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანდებიან, არამედ ივანიშვილის შიგნითვე ანუ მარგველაშვილთან. ასეთი შეიძლება იყოს ივანიშვილის გადანაწილებული ბიზნესმოდელი პოლიტიკურ სპექტრში.

**„ახალი თაობა“**

### ბიზნესმენი ჯონი გიგანი 20-წლიან დუმილს არღვევს

**2002 წლის** გაზაფხულზე სასტუმრო „აჭარასთან“ სახალხო პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის სიძის, ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანა ააფეთქეს. ბედად, ბიზნესმენის ქალიშვილი, პიანისტი ირმა გიგანი და მომღერალ მამუკა ჩარკვიანის ვაჟი მანქანიდან რამდენიმე წუთის გადმოსულები იყვნენ. გამოძიება საბჭოთა უშიშროების სტაჟიან თანამშრომელზე, ალექსანდრე (საშა) მაისურაძეზე გავიდა, რომელიც, თავის მხრივ, ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილთან იყო დაკავშირებული. მართალია აწგანსვენებული ოლიგარქი მაისურაძესთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ 2007 წლის, 7 ნოემბერს, როცა სააკაშვილის სპეცრაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა, გაირკვა, რომ საშა მაისურაძე ჰოლდინგის დაცვის უფროსი იყო... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაისურაძე ციხიდან გამოუშვეს. ბიზნესმენი ჯონი გიგანი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ მაისურაძის ციხიდან გამოშვება პატარკაციშვილ-ჟვანიას ფინანსური გარიგების შედეგი იყო.

**„ვერსია“**

### რატომ აუქმებენ ბაგა-ბაღებში ხატების კუთხეს?

**რა** მიზეზით აუქმებენ ბაგა-ბაღებში სალოცავ კუთხეებს, რატომ ჩამოახსნევინეს დირექტორებსა და პედაგოგიურ 5 კოლექტივს ხატები საბავშვო ბაღებში თბილისის ბაგა-ბაღების მართვის წარმომადგენლებმა? შეშფოთებულმა ახალგაზრდა დედამ გვიამბო, რომ იმ ბაღში, სადაც მისი 5 წლის გოგონა დადის, პატარა სამლოცველო კუთხეა, რომელიც ყველამ ერთად, რუდუნებით მოაწყო, გააუქმეს. მიზეზი? სხვა მრწამსის მქონე ბავშვების უფლებების შელახვა(?!). როგორც თბილისის საკრებულოს დეპუტატი გულიკო ზუმბაძე ამბობს, „არ მიმაჩნია გამართლებულად სკოლამდელ დაწესებულებებში აღზრდილს მოახვიო თავს ამა თუ იმ რელიგიის მრწამსი, სადაც არამართლმადიდებელი ბავშვებიც დადიან... ჯობია ეს თემატიკა არ იყოს აქტიურად გამოკვეთილი“.

მამა ელიზბარის აზრით, „ჯერ კიდევ იმ ავადსახსენებელი კახა ლომაიას დროს დაიწყო წითელი კუთხეების ნაცვლად აღორძინებული წმ. კუთხეთა მოშლა... შესაძლებელია, ერთი-ორი იეღოველი, კათოლიკე ან მუსლიმანი იყოს ჯგუფში, მაგრამ დანარჩენი მართლმადიდებელ ბავშვებს რატომ ულახავთ უფლებას?“

**„ქრონიკა“**

## ◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24